

# ფანტაზია

## სპეციალური გამოშვება

უილიამ შექსპირის დაბადების 440-ე წლისთავთან დაკავშირებით ერთად მოვუყარეთ თავი იმ 60-ივე სონეტს, რაც თქვენს თვალწინ ითარგმნა და „ფანტაზიაში“ გამოქვეყნდა უკანასკნელი ოთხი წლის განმავლობაში.

თუმცა სონეტების თარგმნა გრძელდება, რის დასტურიცაა აქვე მოთავსებული რიგით 61-ე (ნუმერაციით 123-ე) სონეტის თარგმანი.



ეს არის ჩვენი საჩუქარი, რასაც „ფანტაზიის“ მკითხველებს ვუძღვნი, თუმცა აქვე გაცნობებთ, რომ ამ ნომერში მოთავსებული მასალა უკვე იბეჭდება ცალკე წიგნის სახით და მსურველებს სულ მალე შეეძლებათ ეს პატარა წიგნიც შეიძინონ (იხილეთ მე-7-18 გვერდები)



დღევანდელი ნომერი 24-გვერდიანი

## იბალიური კროსვორდები №36

მე-19-24-ე გვერდები

გვიანდარსებულ თქვენი ახრი დღე-ღამე 79-53-70		იპონელ მხატვართა კონკურსის მესამე ტური - მე-6 გვერდი												
პირადი მონაწილეობის შესახებ	სირაქსი მონაწილეობის შესახებ	ლაშქარ-მანი ანდერ-სონი	საშრ-ანბ. ფანტ. გვერდი	ღილი გაუ-ღილი თუფი	წვირის საღ-ბაჰი	წალ-წალის იგავი	ყალ-საბაჰი	მეორე პირი	ირანის ფული	წამ-ლის ფორგა	მხრ-ველის კიღური	ჩვენი გახუთი	მღიმ-წველი	ჩვენი მღი-წარი
პოლონეთის ქალაქი	სტალინის მემ-სახელი	ს												
სქალი საკონტრაქტო მსოფლი		ო												
სახლის შემდეგ დარჩენილი ალგორი		ნ												
მოდრა	ღილა	ე												
ვაბარა ტელეწარმ-არმობა	ვისკის ნაღლე-ული	ტ												
ფინეთის ტა	ჭილა-ბის ფანდი	ი												
ქალაქი რუმიანთი														

## შემდეგი ნომერი გამოვა 7 მაისს

# იტალიური კროსვორდები №36

	დონანის მოღვაწეობის სფერო	(....) ღიანსა-ვიქა	ჩრდილი	იბა-ლიის დედა-ქალაქი	საფრა-გებთის „მონა-ქოს“ მხველი	(....) ნიორა-ქა	უკვა-ლაის სახელ-მწიფო ირანის ბარბ.	ანდრა (....) ჩოგბუ-რთელი	მსახი-რი ქან (....)	საჯა-რისო ნილი	საბარ-ქმეთის ბარბ.-აფინი. ერთიუ-ლი	ღინის სათავ-სო	(....) ანეა-ლანი	ქოლისი და გრანტიზ	ღილი გველი
			5	4		4		5	4	6	6	6	3		3
			ირავს ეს შე-ნიქლება ერევანს	ულაბ-ნოს ნალქო-ბი		ჩვენის რაღიოს ამბა-ღარი ღიქორი		ამაბ-ქანის სასიბ-ღარი სმა	ნელის სარბ-ყელი	ბარბ.-აფინი. ერთიუ-ლი 4	რახ ჩვენის ანაა ახლოს 2		ანი (....)		სუნი-თის მონ-ნააღ-ღება
			7		5	6	5	4	6	3	4	2	8	5	
ჩვენი დღეანდელი ნო-ვატი, რომოც ხელა-ვით სპანიალური მინი-ითაა აღჭურვილი და ამის გამო მასში ვერ ვხედავთ განვითარ-სებიან ყველა მიმღი-ნარა რეპრია.	13	4	7	6	5	6	5	4	6	3	4	6	2	8	5
7 მაინიდან ჩველაბ-რისი განრიგითა და განწყობით განვბრ-კით ვუშაობას...															
30 აპრილს კი ღვინსვენით...															
ხეი	4														
შანიანი ძაღალი	9														
ოჯინის ხე	4														
ქვეყანა აფრიკაში	5														
ხელმწიფი სრება	4														
მონღოლთა სახელ-მწიფო	4														
ჭრილვა	4														
გამრჯე ანუ?	8														
ქიქორი ელვებში	5														
სუსტი ქარი	3														
მოსამსა-ხრე ქაში	4														
სამხრეთ ამერიკელი აქლუმი	4														
მღინარე ავსტრალიაში	5														
ჩელნება-ნოს ქინო-როლი	4														
ერთგვარი თუთიყუში	3														
გალოგა-ლი ღიბი	6														
ჟართოგის საზოგი ერთეული	3														

....როგორც უკვე შევთა-ნხმდით, 25 აპრილს, 12-დან 13 საათამდე საკროსვორდო ჩემპიონატის დასკვნით ტურში მონაწილეებს ველით მეტროს სადგურ „რუსთაველთან“....

## ორი ინფორმაცია განსჯისათვის

იტალიური კროსვორ-დების ძველი ნომრები შეგვიძია მოგართვათ საჩუქრად და ამას „ფან-ტაზის“ კი არა, იტალიური კროსვორდის საპოპულარიზაციოდ ვაკეთებთ (ტელ.79-53-70)

თარაზულად:

1. XIX-XX საუკუნეების რუსი მწერალი, ნობელი პრემიის ლაურეატი. 4. ეს აქვს ყველა დეპუტატს და ჰქონდა ძველი საქართველოს უხუცეს ჩინოსანს. 7. ჩვენი ლიტერატურის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ქოსა. 12. სიკვდილის ავადმყოფური ტიპი. 13. დეტექტიური ჟანრის ლიტერატურის ყველაზე ცნობილი ფრანგი წარმომადგენელი. 15. ქართულ (და არა მარტო ქართულ) გრამატიკაში ეს შეიძლება იყოს სრულიც და უსრულიც. 16. ქალებში სარძევე ჯირკვლების დაავადება. 19. რა გახდა რედ ბატლერის და სკარლეტ ო'ჰარას საერთო შვილის სიკვდილის უნებლიე მიზეზი?

(სარკქლამო ჩანართი - ახლა ვივიენ ლიზე ვამზადებთ პროშურას და მისი სამყაროთი ვცხოვრობთ - რედ.)



ერთი მსახიობის გიჟბრაზია

20. იტალიელი ფეხბურთელი, მცველი. 21. კაცობრიობის პირველი კილერი. 25. ალკოჰოლური სასმელის სახესხვაობა. 26. მავან გოგონასთან დაკავშირებული ტიპური ქართული მისამღერის ნაწილი. 30. გეოგრაფიული დანიშნულების ერთ-ერთი ხაზი. 31. საქციელი, რომლის გარეშეც სამუდამო სახელს ვერ დაიმკვიდრებს მემომარი. 32. კლასიკური სპარსული პოეზიის შვიდსაუკუნოვანი ეპოქის უკანასკნელი დიდი პოეტი. 35. კაცი, რომელიც „ხესწრაფვის“ გამო მამასთან ერთად დაინვა მზის სხივებში. 36. იგივეა, რაც სადამოხანი, ნახევრად სიბნელე. 40. ცეცხლსასროლი იარაღის შემადგენელი ნაწილი. 41. გურამ ფანჯიკიძის ერთ-ერთი უკანასკნელი რომანი. 42. ისტორიული სოფელი ქვემო ქართლში. 45. რა არის ეს - CH4? 46. ნერვული უჯრედი თავისი სხეულით, დენდრიტებით და აქსონებით. 47. (ერთობ საკროსგორდო) პერსონაჟი ფილმისა „შეხვედრა წარსულთან“. 50. კაუჩუკის დამუშავებით მიღებული შავი ფერის მასალა. 51. ზოლი ქსოვილის კიდებე არსებული ზოლი. 55. თბილისამდე ძალით მოახლოებული მდინარე. 56. ასეთი საქციელი შეიძლება ჩაიდინოს მთვრალმა, შეყვარებულმა და მისთანებმა. 57. სახელი XX საუკუნის ყველაზე სახელოვანი და ტიტულოვანი ებრაელი ქალისა. 61. ქართული ცეკვის და სიმღერის თანამედროვე ანსამბლი. 62. აზერბაიჯანელი რევოლუციონერი, მემიდ..... 63. ჰენრიხ შლიმანის არქეოლოგიურ მოღვაწეობასთან დაკავშირებული ქალაქის ერთ-ერთი სახელი. 64. შუა საუკუნეების ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ესპანელი მხატვარი. 65. ის, რისმა ბოლომაც შეიძლება გაგაკვირვოს, პირველწყაროს სარწმუნოების მიუხედავად.

crossword puzzle grid with 63 numbered starting points for words.

შპეულად: 1. ფილმი შირლი მაკ-ლეინის და ჯეკ ლემონის მონაწილეობით. 2. XX საუკუნის 80-იანი წლების ცნობილი იაპონელი პოლიტიკური მოღვაწე, ქვეყნის პრემიერ-მინისტრი. 3. ამერიკის ორივე კონტინენტის სახმელეთო ნაწილის ფაუნისტიკური სამყარო (ანუ - „ახალი მიწა“). 5. ეს სიტყვა ეროსიმ და კოტემ ერთად ოთხჯერ დაიძახეს 1964 წლის 18 ნოემბერს.. 6. XX საუკუნის 60-იანი წლების პოპულარული ცეკვა..... რომელიც მაშინაც „ბებიების ცეკვად“ ითვლებოდა. 8. ორგანიზმი, რომელიც ცხოვრობს არა თავისი ევოლუციური წარმოშობის, არამედ სხვა ადგილას. 9. როგორია ახლა კომუნალური თვალსაზრისით ბევრი ლტოლვილი საქართველოში. 10. ხელშეკრულება, საქმიანი შეთანხმება. 11. ეს სიტყვა ინგლისურიდან ასე ითარგმნება - „კონცხის ქალაქი“ და სამხრეთ აფრიკაში მდებარეობს. 14. (ჰკითხეთ ინდური კინოს მოყვარულებს ან დარეკეთ საზოგადოება „ბჰარატში“) „განგას“ სასათაურე კოლეგა 60-იანი წლების ცნობილ ინდურ ფილმში (....ორივე წყალში იხრჩობა). 17. დამრიგებლური შინაარსის მოკლე ნაწარმოები. 18. კეთილთვისებიანი ჯირკვლოვანი სიმსივნე. 22. ტბა საქართველო - აზერბაიჯანის საზღვარზე. 23. სწორედ ასეთები ვიყავით ჩვენც, თქვენც (....და ისინიც), როცა ყრმობისას უფროსებს აქეთ-იქით ვგზავნებოდით. 24. (ჰკითხეთ საბჭოური ტელევიზიის ნატრულებს) „ხრუშას და სტეპაშკას კოლეგა. 27. სტილისტიკური ფიგურა, როცა სიტყვათა შორის დარღვეულია სწორი გრამატიკული შეთანხმება. 28. პავანინზე არანაკლებ ცნობილი მევიოლინე ავსტრიიდან. 29. ყველაზე ტიტულოვანი ქართველი მოკრივე. 33. დიდი ძველბერძენი მეიგავის სახელის დაწერილობის ერთ-ერთი ვარიანტი. 34. ღვინის ძველებური დიდი ჭურჭელი. 37. ათენის არისტოკრატიული საგვარეულო. 38. ე.წ. „ვერცხლის“ ქვეყანა. 39. ზედმეტი ნონა ანუ რა? 43. ელიტაში მოტივალე არაფრის მაქნისი (რა თქმა უნდა, ამბიციური) პიროვნება. 44. კლოუნის ნომერი ცირკში. 48. პუშკინის შემოქმედების ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი პერსონაჟი. 49. ცხვირიდან გამონადენის არსებობა. 52. რუსულ სინამდვილეში გავრცელებული სიგრძის საზომი ერთეული. 53. ჩრდილოეთ ამერიკაში მობინადრე დიდი დათვის სახეობა. 54. ძმები კარამაზოვების ლიტერატურული კოლეგის გონებრივი სტატუსი. 58. გერმანელი მწერალი, (.....) ფოიხტვანგერი. 59. „მეცნიერული“ დაბოლების ერთ-ერთი სახეობა. 60. პატარა კბილის აღმნიშვნელი სიტყვა.

თავსატახნი ციფრებით

15x15 grid with numbers 1-32 and some cells shaded black.

15x15 grid with numbers 1-15 and some cells shaded black.

თავსატახნი სიტყვებით

15x15 grid with numbers 1-15 and some cells shaded black.

მოცემული სიტყვები განათავსეთ კროსპორდის ცარიელ ბალებში:

Table with 2 columns: words and their starting positions in the crossword grid.

თავსატახნი პითხვებით

ჩვენ ვაპირებთ ჯორჯ ორუელის სატირული რომანის „პირუტყვთა სადგომის“ (Animal Farm) თარგმნას, რომელიც 1945 წელს დაიწერა; გვეითხებით: ა) სომ არ გსმენიათ, რომ ეს რომანი თარგმნილია ქართულად? ბ) თუ ნაკითხული (ინგლისურად ან რუსულად) გაქვთ, როგორ გგონიათ - ღირს მისი თარგმნა?

უნივერსალური ენციკლოპედიური ლექსიკონი, მე-2 ტომი

პან-სლავი ღონიერ და ლექსერი - ამერიკელი ბიოქიმიკოსი და ქიმიკოს-ნაბიდიკოსი (1883 - 1971 წწ). პანსა - ქალაქი უინჩესტი, მდინარე ვანკან-ოკიზე (150 ათასი). პან ბაი - ჩინეთის რეფორმატორული მოძრაობის ერთ-ერთი იდეოლოგიური წინამორბედი (1828 - 1897 წწ). პანსეპი (პოლანდი) - გემსართავები, რომლებითაც ანბა მარგარეტა ბორგესე. პან ბიზანიტი (ფილიპინ) - ისილე გივანო ფი. პანტალიონი - უღელგეხილი კახეთის კავკასიონის მთავარ წყალგამყოფ ქედზე. პანსოზი - 1793-1805 წლებში მოქმედი ფრანგული რესპუბლიკური კანკლერის მიქსეზე თვე (19/20 თებერვალი - 20/21 მარტი). პანსოზი (ფრანგი) - 1) მოწყობილობა წყალსადენის მილგეში დაგროვებული პანის აგვომებურად გამოსადგენად. 2) დანავიანებული სველი წერტის პანით ჩასაწმენდი ხელსაწყო. პან ბუნჯაო (გან მიანსანი) - ჩინელი მწერალი (1898 - 1957 წწ). პანს-პოზი იაკობ პენდრიკ - პოლანდიელი მეცნიერი, სტეროქიმიის ერთ-ერთი დამაარსებელი, 1901 წლის ნობელის პრემიის ლაურეატი (1852 - 1911 წწ). პანსა-ლანს - ულკური კუნძული მელანეზიაში (წყნარი ოკეანე), ეკუთვნის ფიჯის, მთავარი ქალაქი ლამბასა. პანსაპე (ვანუატუს რესპუბლიკა) - სახელმწიფო ახალი ჰებრდის კუნძულებზე, მელანეზიაში, წყნარი ოკეანის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში. ფართობი 12,2 ათასი კვ.მ. მოსახლეობა 195 ათასი, ძირითადად მელანეზიელები. სახელმწიფო ენები - ბისლამა, ინგლისური და ფრანგული. პანსი - გერუსკულ მითოლოგიაში სიკვდილის ღვთაება. პან ულაი ჯონ ჰამბრუკ - ისილე ებ ვლეიო ჯ. პან ულაი (გან ჩუანსანი) - ჩინელი ფილოსოფოსი (1619 - 1692 წწ). პანნი - ერთ-ერთი ძველი უბანი თბილისის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში, მდინარე მტკვრის მარჯვენა მხარეს (ბარათაშვილის ხიდის მახლობლად). პანსანიონი კონსტანტინე - რუსი პოეტი (დაიბადა 1925 წელს). პან შიუპი (გან ღვინი) - ჩინელი დრამატურგი (გარდაიცვალა დაახლოებით 1330 წელს). პან შუ - ჩინური მითოლოგიის თანახმად ციური შეიქმნა, რომელიც მთავრეს დაგარებს. პან შუნა - ძველი ჩინეთის ერთ-ერთი ყველაზე სახელგანთქმული ექსი (210 - 285 წწ). პანნი - მდინარე გაჯიკეთში, ფანჯის მარჯვენა შენაკადი. პანნი ქედი - მდებარეობს პამირის დასავლეთ ნაწილში, გაჯიკეთის მთიანი ბადახშანის ავტონომიურ ოლქში. პან ჩინი - ჩინელი ფილოსოფოსი (27 - 104 წწ). პანჩუკი ვლადისლავ - ჩეხი მწერალი (1891 - 1942 წწ). პან მანი (აიუნსუნი) - ჩინელი პოეტი (177 - 217 წწ). პანსეპი ბარტოლომეო - ამერიკელი მუსიკალური ლეიონერი, წარმოშობით იტალიელი, დაჯილი იქნა სიკვდილით ნიკოლა საკოსთან ერთად (1888 - 1927 წწ). პანსიპიონისი გენრიკას - ლიგველი რეისიორი, საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი (დაიბადა 1924 წელს). პანსიანი ვანკან - საბჭოთა კავშირის გმირი, მეორე მსოფლიო ომის მონაწილე, დაიბადა საქართველოში (1913 - 1944 წწ). პანსიხა - მდინარე ჭიათურის შემოგარენში, საგორულას მარცხენა შენაკადი. პან ქინსი (გან ჯაომინი) - ჩინეთის პოლიტიკური მოღვაწე (დაახლოებით 1884 - 1944 წწ). პანნი შიპი - ჩინურ მითოლოგიაში უფლისწული, რომელიც უკვდავებს ეზიარა, განთქმულია ცხოველებად და ფრინველებად გადაქცევის ხელოვნებით. პანსეპი - 1) (ვანსეურა) მდინარე ღუშეთის რაიონში, ფშავის არაგვის მარცხენა შენაკადი. 2) ყოფილი სოფელი ღუშეთის რაიონში. პანსიპი (ვანთა საჯანე) - ვანების სამყოფელი, საწყაროს მეორე სფერო სკანდინავიურ მითოლოგიაში. პან პელონი იან ბაგისტი - ისილე პელმონტი ი.პ. პანსანი - ისილე ჯაუნა. პანსიპი - დაბა უკრაინის ვინიქის ოლქში. პანსიპი (იტალი) - პანარა (ორთქლის) გემი, წყლის გრამაი ვენეციაში. პანსი (ლითონი) - მეთი ორთქლის მანქანის ცილინდრების შესამეთავად. პანსიპიპი - სიბის გადამქვევა ორთქლად; ორთქლქება. პანსიპიპი - ხელსაწყო სხვადასხვა სიბის ორთქლის დრეკაობის გასაშობად გარკვეული გემპერატორის პირობებში. პანსიპიპი ნიკოლა - ისილე ეპეაროვი ნ. პანსიპიპი - სამკურნალო მინერალური წყალი.

წყარო მდებარეობს ღუშეთის რაიონში, ფშავის არაგვის ხეობაში. პანა-შანსაპე (ნამდვილი სახელი და ვაერი ლუკა კარაიკაშვილი) - დიდი ქართველი პოეტი და მწერალი (1861 - 1915 წწ). პანა-შანსაპეს მწვერვალი - მწვერვალი ღუშეთის რაიონში, კიდევანის ქედზე. პანსეპონი - 1) მამაკაცი ბაგონი. 2) (ორთქი) კაცი, რომლის აზრები ან ქვეყა მოსაწონი არ არის. პანნი - 1) მამაკაცი (მეფელებზე ახალგაზრდა). 2) შვილი მამრობითი სქესისა. 3) იფივეა, რაც ვაკეკეტი. პანსიანი - სასიძო ვაგის ოჯახი და ნათესავეები. პანსიანი - ვაგის შექმნა. პანსიანი - მამიანი, თფლით და ხილის წვენით შემზადებული სასმელი. პანსიანი - დაბა რუსეთის ლენინგრადის (სანქტ-პეტერბურგის) ოლქში. პანსიანი - იფივეა, რაც ვაგი (მნიშვ. 2). პანსიანი - მდინარე; ისილე ეპეა. პანსიანი - ღონიერი, გულადი, მუქერკელი მამაკაცი. პანსიანი - ვაკეკეთის თვისება. პანსიანი - ვაკეკეთის დამახასიათებელი. პანსიანი - ქართული ენის შორისდებული; გამოხატავს ვაკეკეთის ან ვაკეკეთის. პანსიანი - ვაგის თვისება. პანსიანი - ვაგის დამახასიათებელი. პანსიანი - ესე არს ეფიველია მრავალფეროვნება, ნამდვირობითი ბუნებისა (საბა). პანსიანი (ესპ.) - სიგრფის საბოთი ლათინური ამერიკის ქვეყნებში; უღრის 80-100 სმ-ს. პანსიანი - მანგლის ექვე (საბა). პანსიანი - ქალაქი კუბაში, მაგანსას პროვინციაში, კლმბეკური კურორტი. პანსიანი ფაკი - ორდახნის მუშათა და ერთენულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მოღვაწე (დაიბადა 1926 წელს). პანსიანი ვიორგი - მეორე მსოფლიო ომის დროს იტალიის წინააღმდეგობის მოძრაობის მონაწილე (1914 - 1945 წწ). პანსიანი-პანსიანი (ვანსიანი) - ქართლის მეფე IV საუკუნის მეორე ნახევარში. პანსიანი-პანსიანი - გარდახნის მთავარი VII საუკუნის I ნახევარში. პანსიანი-პანსიანი - კამბეკოვანის მთავარი VI საუკუნის II ნახევარში. პანსიანი (ვანსიანი) 1) აფიანილი - ქართველი მხატვარი (1926 - 1977 წწ). 2) ვასილი - ბიოქიმიკოსი და პათოლოგიური მითოლოგი (1888 - 1969 წწ). პანსიანი - ქალაქი ლაგვიანი. პანსიანი - ისილე ვაკეკეტი ვარამ. პანსიანი (არაბი) - დარდი, მწკრივება, ნალველი. პანსიანი (ბენარესი) - ქალაქი ინდოეთის ჩრდილოეთ ნაწილში, მდინარე განგეზე, უგარ-პრადეშის შტატში (930 ათასი). პანსიანი - ქალაქი ინდოეთის ანდჰრა-პრადეშის შტატში. პანსიანი-პანსიანი - ბარნესის შღვის ყურე ნორვეგიის სანაპიროსთან. პანსიანი - ვარგნი თუ მრავლის შემქმნელი (საბა). პანსიანი - დიდი ხელი (მეგრანხევერამდე სიგრფის); ბინადრობს აღმოსავლეთ ნახევარსფეროს უდაბნოებში, კროსიკებსა და სუბტროპიკებში. პანსიანი (ინგლი) - საბუთი, რომელიც საწყობში საქონლის მიზარებისას ეძლევა საქონლის მფლობელს. პანსიანი - ქალაქი ხორვაგიაში (40 ათასი). პანსიანი (უარაო, ვუარაო) - ვენსუელაში მცხოვრები ინდიელი ხალხი; ცხოვრობენ აგრეთვე სურინამსა და გაიანაში. საერთო რაოდენობა - 20 ათასი. პანსიანი - წინაწარი მთაბლობითი ანგარიში, წინაწარი აზრი რისამე შესახებ. პანსიანი (ვარაყ) - იფივეა, რაც არაყ. პანსიანი (არაბი) - 1) სხვათა ენაა, ქართულად ქანდაკეანი (საბა). 2) ოქრის (ვარცხლის) თხელი ფენა ნივთზე გალაკული შესახებ. პანსიანი - ვარაყით დაფარული. პანსიანი - უქველსი დასახლება უმეკეთის ქალაქ ბუნარისთან, კულურის მგელი. პანსიანი - შუასაუკუნეების ქალაქი ნანგრეველი ესპანეთის დედაქალაქი ბალენის მახლობლად. პანსიანი ოგო პანსის - გერმანული ბიოქიმიკოსი და ფიზიოლოგი, 1931 წლის ნობელის პრემიის ლაურეატი (1883 - 1970 წწ). პანსიანი 1) ეფიანი - უნგრული წარმოშობის საბჭოთა ეკონომისტი, ეკანეკოსი (1879 - 1964 წწ). 2) იმ-გან - უნგრული ეკონომისტი (1897 - 1962 წწ). პანსიანი - სოფელი ასპინძის რაიონში. პანსიანი - ენაიანი თვითმკლერი მუსიკალური საკრავი. პანსიანი ეფელო დორნელის - ბრაზილიის სახელმწიფო და პოლიტიკური მოღვაწე; ქვეყნის პრემი-დენტი 1930-1945 და 1951-1954 წლებში (1883 - 1954 წწ). პანსიანი ლიონა მარიო - პერუელი მწერალი (დაიბადა 1936 წელს).

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

თარაზულად: 1. მორიგის განმასხვავებელი ატრიბუტი. 5. სათავგადასავლო ლიტერატურის ერთ-ერთი მამამთავარი. 11. კუბაში გავრცელებული ლერწმის საჭრელი დანა. 12. მულატისა და ევროპეიდული რასის წარმომადგენლის შვილი. 14. 90-იანი წწ ერთ-ერთი ზამთრის ოლიმპიადის დედაქალაქი. 15. პოპულარული კომპიუტერული თამაში. 16. „ნათლია“ იმ სასაფლაოს, სადაც პრეზიდენტი ჯონ კენედი განისვენებს. 18. XIX საუკუნის დასაწყისის სტილი არქიტექტურასა და ხელოვნებაში. 20. ქართველი მამაკაცების სპეციფიური სახელი. 21. 1986 წლის მსოფლიო ჩემპიონატში მონაწილე ესპანელი ბომბარდირი ფეხბურთელი. 24. კლოუნების გამოჩენა ცირკის მანქანაზე. 26. უცვლელი თემის განმეორებადობაზე დაფუძნებული მუსიკალური ფორმა. 27. ფლორენციაში გამავალი მდინარე. 29. ჩრდილოეთ ირლანდიის დედაქალაქი. 30. სისხლის დაავადებათა შორის ერთ-ერთი ყველაზე საშიში სენი. 33. ღვინით მოვაჭრე ძველ თბილისში. 35. მსოფლიოს ერთ-ერთი ჩემპიონი ჭადრაკში. 37. თანხმობის ფონეტიკური სახესხვაობა. 38. ტკბილი გემოს მქონე ბლანტი უფერული სითხე. 39. ქალაქი იაპონიის კუნძულ ჰონსიუზე. 40. იაპონიის იმპერატორის ტიტული.

შპუულად: 2. ერთ-ერთი სახელი ინგლისელი მწერლის, კრონინისა. 3. სახელი კროსგორდის უკან დამალული ქალისა. 4. თანამედროვე ჰოლივუდის ცნობილი მსახიობი მამაკაცი. 6. ქურდობისადმი ავადმყოფური მიდრეკილება. 7. ერთგვარი ასაფეთქებელი ნივთიერება. 8. ერთი საქმით დაკავებული ადამიანების გაერთიანება. 9. კუნძული ხმელთაშუა ზღვაში. 10. გულგრილი და ცინიკური დამოკიდებულება ყველაფრისადმი. 13. მოლავების საფეხბურთო კლუბი. 17. რომის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი იმპერატორი. 19. თანამედროვე დიდი ქალაქი მის გარშემო გაშენებულ უბნებთან ერთად. 22. ვოკალური და ინსტრუმენტული მელოდიების გამრავალფეროვნების ერთგვარი ხერხი. 23. რუსეთის მდინარე. 25. რაინდული სულის ადამიანი ანუ ვინ? 26. იყო ასეთი პოპულარული სიმღერა - „ჩერონა..... (რა?)“. 28. ასეთი გზებიც არსებობს თბილისსა და ჭიათურაში. 29. ქსოვილზე გამოშვებული პანანკინტელა შვედელი. 31. თანამედროვე ჰოლივუდის კიდევ ერთი მსახიობი მამაკაცი. 32. აგული მასზე ასე იტყოდა - „კიპლინგის ბიჭი“-ო. 34. ლურჯი შარვალი. 36. სამხრეთამერიკული სახელმწიფოს დედაქალაქი.

თარაზულად: 1. პლატონის თანახმად ეს დიდი კუნძული ოდესღაც გობრალტარის დასავლეთით არსებობდა. 5. ერკიულ პუაროს ლიტერატურული დედის სახელი. 11. ქალაქი იტალიაში. 12. სურინამის დედაქალაქი. 14. ჩინური ენის და კულტურის შემსწავლელი მეცნიერება. 15. სერიალი მიკელ პლაჩიდოს მონაწილეობით. 16. ჟაკ-ივ კუსტო — თავისი პროფესიით. 18. ქართული ფეხბურთის ერთ-ერთი დიდი კაპიტანი. 20. როგორია ეს ნუთისოფელი, გავრცელებული აზრის თანახმად? 21. მეტისმეტად მზრუნველი, ზედ გადაყოლილი ანუ როგორი? 24. ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ჟორდანია. 26. ზამთრის სამოსი. 27. ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი იაპონელი ქალის სახელი. 29. პარიკმახერს სწორედ ეს შეიძლება ერქვას ახლა. 30. ცეცხლსასროლი იარაღის სახესხვაობა. 33. პარიკმახერს სწორედ ეს შეიძლება რქმოდ ადრე. 35. სსრკ-ს კალათბურთელთა ოლიმპიური ჩემპიონი ნაკრების მწვრთნელი 1972 წელს. 37. ცნობილი სამხრეთაფრიკელი პოლიტიკური მოღვაწე. 38. ყველასათვის კარგად ცნობილი დაღესტნელი პოეტი. 39. საფოსტო მარკების შეგროვება. 40. ქართველ მამაკაცთა სახელი.

შპუულად: 2. იტალიური წარმოშობის ცეკვა. 3. სახელი კროსგორდის უკან დამალული ქალისა. 4. სცენიური ნაწარმოები. 6. სწორედ ასეთი შეცდომები იჩენს თავს წერისას. 7. ძველრომაელთა ნიჩბებანი ხომალდი. 8. ბეთჰოვენის საფორტეპიანო სონატა. 9. მძღვეოსანთა სატყორცნი ინვენტარი. 10. ერთდროს ეს ჩუქჩა გვიმღეროდა - „ო (სახელი და გვარი). 13. ნემსი.... ოღონდ არაქართულად 17. ბაგირის ნამდვილად ქართული სახელი. 19. სიტყვასიტყვით - „ხსოვნის დოკუმენტი“. 22. ეკლესიის სახელით მოქმედი მსაჯული შუა საუკუნეების ევროპაში. 23. ცუდი კბილი. 25. რამდენიმე მცველის ერთად მოტყუება ფეხბურთში. 26. თანამედროვე ჰოლივუდელი მამაკაცი. 28. რუსული ანბანის სახესხვაობა. 29. ცოდვის სიმბოლოდ მიჩნეული ქალაქი. 31. ჩვენი მდინარე. 32. ის, რასაც დიდი სქელი ფეხები შეიძლება შეადარო. 34. მლიქვნელი და გაიძვერა - ძველქალაქურად. 36. ნითელწაღებიანი ისტორიული პერსონაჟი დასავლეთ საქართველოდან.

### იაპონელი მხატვრების კონკურსის მესამე ტური



მესამე ტურში თქვენ გვევლებათ: 1) ამოსხნათ ნახატი და მოგვახსენოთ - აქ არსებული „პერსონაჟების“ რაობა (1 ქულა). 2) (კიდო) მოგვახსენოთ, თუ რომელი პერსონაჟი აკლია ამ „სიუჟეტს“ (2 ქულა). 3) (...და კიდო) მოგვახსენოთ - რას ნიშნავს ნახატზე დატანებული სიმბოლოები და ასეთივე ორი სხვა სიმბოლო(-ები) რა უნდა იყოს. დარეკეთ შაბათს, 24 აპრილს საღამოს 18-20 საათებში - 79-53-70 ან 76-68-02

#### იაპონელ მხატვართა კონკურსი

ზიზი ბუბაშვილი	6	6
ბიზი იაშვილი	6	—
ლალი ჩხაქავი	3	6
კოლა ლალაქიშვილი	3	6
ბილა ბაბუაძე	—	6
მამუკა ბუსუაძე	3	3
შარბა ბაინდუკაშვილი	3	4
ზურა სარიშვილი	3	4
ქატიონო ნინოშვილი	3	3
მანანა ნაპაშვილი	—	4
ზურაბი ქორიძე	3	—
ბიორბი კაკაშვილი	—	3
ვაკა ჩალაძე	2	—

მეოთხე ტურის ნახატი გამოქვეყნდება 7 მაისის პარაკაის „შანტაჟიში“.

შეახსენებთ, რომ ნები-სმიერ მონაწილას შუაქლია გამოტოვოს ერთი ტური, რადგან ტურნირის სათვალავში მხოლოდ ოთხი საუკეთესო შედეგი იქნება



#### მეორე ტურის ნახატი და პასუხები

- 1) ნახატზე გამოხატულია ჯარი
  - 2) მისი კოლეგა „ტოში“ (ასობის განლაგება ნახატზე არის (ო - ზურგზე წერია).
  - 3) 40 ნიშნავს იმას, რომ ეს სერი-ალი 1940 წელს გამოვიდა პირველად ეპრანაზე.
  - 4) პროდუქტის განლაგება „შრად ქიმიში“ Fred Quimby
- იყო ორიგინალური პასუხი - 40 „შანტაჟის“ უსიამო და ესენ ჩაეთვალი







**William  
Shakespeare  
(1564-1616)  
Sonnets**

ქვეყნდება  
უილიამ  
შექსპირის  
დაბადების  
440-ე წლისთავთან  
დაკავშირებით

**უილიამ შექსპირი**

**60 სონეტი**

ინგლისურიდან თარგმნა  
ალექსანდრე ელერდაშვილმა



შექსპირის სონეტების ახალი თარგმანები შესრულებულია  
2000-2004 წლებში.

ეს არის კიდევ ერთი მცდელობა შექსპირის სონეტების  
ქართულ ენაზე ამეტყველებისა.

დაინტერესებული მკითხველი კარგად იცნობს შექსპირის  
ლირიკის თარგმანთა ორ ადრინდელ სრულ ვერსიას,  
რომლებიც გივი გაჩეჩილაძის და რევაზ თაბუკაშვილის  
მიერაა შესრულებული; ხსნებული თარგმანები  
დიდი ოსტატობით და პოეტურობით გამოირჩევა,  
თუმცა თქვენს ხელთ არსებული ახალი თარგმანების  
ავტორს მაინც გაუჩნდა სურვილი თავისი სიტყვა ეთქვა  
ამ რთულ საქმეში და, იმედია, მოლოდინს არ  
გაუცრუებს დიდი ინგლისელი პოეტის შემოქმედების  
თავგანისმცემლებს.

ახალი თარგმანები ერთგვარი თავისუფლებით  
ხასიათდება და მთარგმნელობითი ხელოვნების  
იმ დაუნერეელი კანონის ერთგულებას გამოხატავს,  
რომელიც ლაღადებს - „მაქსიმალურად დაშორდი  
ორიგინალს, თუ მაქსიმალური წარმატების  
მიღწევა გასურს“.

თავად განსაჯეთ, რაც მივიღეთ ამის შედეგად...

თარგმანებზე მუშაობა გრძელდება.



1

მემკვიდრეს უნდა გვიტოვებდეს მამრი თუ მდედრი, კოკორმა უნდა მიიბაროს ვარდის მშვენიება და რადგან ყველას გზას მოუჭრის სიკვდილის ხვედრი, შვილებში უნდა გრძელდებოდეს მშობლის ხსენება.

შენ კი გწაღია, მარად შეგრჩეს სიტურფე თვალთა, გსურს, შენივე ცეცხლით გამოკვებო დროის სახმილი, გინდა ხრიოკეთს დააბერტყო სიუხვის კალთა და, როგორც მტერმა, საკუთარ სულს ჩასცე მახვილი.

დღეს შენ ამშვენებ ამ სამყაროს, ვით ხატი ტაძარს, ხარ წარმავალი გაზაფხულის ზღვა უნაპირო, ხვალ კი ჩააცმე შენს სიტურფეს ჟამთასვლის ძაძას და სამარისკენ წაირტაცებ... ნაზო ნადირო.

იყავ მონყალე და ნუ ელი ჟამთა აღვსებას, ნუ აჭმევ მიწას წუთისოფლის კუთვნილ არსებას.

2

ორმოცი ზამთრის ტყვეობაში რომ ჩავარდები, შენს შუბლს ორმოცი ნაოჭი რომ დათხრის, დაღარავს, რომ გადაფარავს შენს ყვავილნარს ეკალ-ბარდები და არ მოხიბლავს აღარავის... არსად... არღარას,

მაშინ გკითხავენ - „ის მშვენება სად გადამალე, საით გაქრაო საგანძური ყმანვილურ ფერთა?“ იტყვი - „თვალეების სიღრმეებში დავასამარე!“ - და ეს მოიტანს გაუგონარ დაცინვას შენთან.

შენს სილამაზეს მიეგება მეტი ღირსება, თქმა რომ შეგეძლოს - „ეს არსება შვილია ჩემი, მას გადაეცა ყველა ჩემი ზნე და თვისება, იგია ჩემთვის სიბერის ჟამს ნუგეშისმცემი“.

შენ ცივ ზამთრებში, სიბერისკენ გადარხეულში, შვილს იხილავ და კვლავაც სითბოს იგრძნობ სხეულში.

3

შეხედე სარკეს და უთხარი შენსავე ორეულს, რომ დროა, ქვეყნად მისი მსგავსი იშვას არსება, რომ ამ სამყაროს, დედობრივად გრძნობამორეულს, მარად შეეძლოს განახლება და დამსგავსება.

თანამეცხედრედ ნუთუ ვერსად ვერ ხედავ ვერცერთს, ყამირ მიწაზე ნუთუ არ გსურს გაჭრა სავალი, ან ეგებ გიჯობს, ეგ სხეული სამარედ გექცეს და ჩაკლა მასში არშობილი შთამომავალი.

შენ შენი დედის სარკე ხარ და ის შენში ხედავს ჟამთა წიაღში გადაპენტილ თავის აპრილებს, მაშ, შენც ჩახედე შვილის სარკეს, სანამ შენს ცხედარს დრო არყოფნაში გარიყავს და გაინაპირებს.

და თუ მენყვილედ კვლავაც არვინ გაგეტოლება, ისე მოკვდები, მომგონიც კი არ გეყოლება.

4

ასე გულუხვად ნაბოძები შენი მშვენება, ნუთუ გგონია - გასაფლანგი საგანძურია? ბუნებას მისი მონიჭება სესხად ენება და ვალის უკან დაბრუნებაც უხვად სწყურია.

ასეთ სიტურფეს, ასე ხარბად ნაზიარები, მარტო რომ იხმარ, ნუთუ არ გსურს, სხვაც აზიარო? ნუთუ ცხოვრებას დაუგმანო უნდა კარები და ქვეყნად, კი არ იარსებო, გზად ჩაიარო?

სილამაზესთან ჭიდილში რომ იღვრები ოფლად, რომ მოგეძალა საკუთარი თავის ცდუნება, ნუთუ არ ნალვლობ, რას დატოვებ ამწუთისოფლად, როს ანგარიშთა გასწორებას მოგთხოვს ბუნება?

თუ სამომავლო არ ისურვე დროთა შენება, დაიმარხება შენთან ერთად შენი მშვენება.

5

დრო აქანდაკებს წუთისოფლის სანახაობებს, დრო ქმნის სიცოცხლეს, ვით სწვევია ნატიფ ხელოვანს, მერე თავს ესხმის თავისსავე შექმნილ რაობებს და გზად ახვედრებს სისასტიკეს მრავალფეროვანს.

დროის საშოში ნალერსებ ლამაზ მაისებს დროის საფლავში დეკემბერი ჩაენაცვლება, მკვდარი სიტურფით ჟამთასრბოლა უბეს აივსებს, გაუსაძლისი მჭმუნვარება საზღვარს გასცდება

და მხოლოდ ბროლის თხელ კედლებში გამოკეტილი ნაზი ვარდების სურნელება სუნამოისა დარჩება ხსოვნად, რომ დრო-ჟამი იდგა კეთილი და რომ დროებით ნაშენები დროით მოისრა.

დაე, სიკვდილი იყოს სენი განუკურნელი, ბროლის კედლებში დარჩეს ოლონდ ვარდის სურნელი.

6

ნუ მისცემ ზამთარს შენს ბალნარში შემოსვლის ნებას, სანამ გაზაფხულს ვარდები არ აჰყვავებია, სანამ საგანძურს გამიზნულს არ მიუჩენ დებას, სანამ მომავალს გზა-სავალი არ დასწყებია.

ვით სადმე ვინმე მევახშეა, რომ გასცემს სესხად თავის სიმდიდრეს, მოგებას რომ უხვად ეწიოს, შენი სიცოცხლე გასესხებით მიეცი შენც სხვას, რომ სარგებელი ერთი ათად უკან გეწვიოს,

რომ ათჯერ უფრო ბედნიერი და ღირსეული ათი მემკვიდრით შეედარო საწუთროს გამჩენს, რომ შენ სიკვდილმა გამოგტაცოს მხოლოდ სხეული და შენს შვილებში ათჯერ მეტი სახელი დაგრჩეს.

...და თუ არავის უწილადე სიტურფის მადლი, შვილის სანაცვლოდ გეყოლება სამარის მატლი.



7

აგერ, მნათობმა გაახილა ზეცაში თვალი,  
ამოაფრქვია აღმოსავლეთს სხივთა მძივები,  
მერე თვისსავე სინათლეში მოხატა კვალი,  
სანუთროს თალზე სიღიადით ნალივლივები.

მერე შუადღის დაბრძენებით დამშვენებულმა,  
ველარ მოირგო ყმანვილური ვნება-სურვილი  
და, ვით მოკვდავმა, სილაღეში თავაშვებულმა,  
კვლავაც განაგრძო გზა-სავალი ოქროცურვილი.

მერე დაეშვა... ველარც ყელი მოიღერა და  
გარდუვალობას ველარც ასცდა ბნელი ქაოსის,  
სადღაც მიღმიერ სამყაროსკენ ტყორცნა მზერა და  
ველარაფერი მოიტოვა სააქაოსთვის.

შენც, ვით მნათობმა, არ მიანდო გზას სიმარტოვე  
და სიკვდილამდე ერთი შვილი მაინც დატოვე.

12

როდესაც ვუსმენ, როგორ მითვლის საათი წამებს,  
როდესაც ვნაღვლობ საცოდავად დამჭკნარ იაზე,  
როდესაც ვხედავ განთიადით გამაძლარ ღამეს,  
ან ვფიქრობ მავან ერთდროს გიშრის ნაწნავიანზე,

როდესაც ირგვლივ უფოთლებო მოჩანს ხეები,  
რომელთა ჩრდილში ერთდროს ფარებს ჰქონდათ ბინები,  
როდესაც ზაფხულს დასწრეთია სიუხვეები  
და გზას ადგანან წარმავლობის ბალდახინები,

მე სწორედ მაშინ მახსენდება შენი მშვენება,  
მაშინლა ვხვდები, რომ სიცოცხლე მხოლოდ ბანგია,  
შენს სიყმანვილეს რომ დროებით მოსვლა ენება  
და წუთისოფლის ბილიკებზე გასაფლანგია.

და რადგან არვის შეიბრალებს სიკვდილს ცელი,  
დატოვე შვილი, როგორც სსოვნის ერთგული მცველი.

16

რად არ გწაღია, შეებრძლო სისხლიან ტირანს,  
ჟამთასრბოლაში მეუფებით თავს რომ იწონებს?  
იქნებ გგონია, მარადიულს მოგიჩენს ბინას  
და ამ ლექსივით ხელს მოწყალედ გამოგიწოდებს?

იქნებ გწაღია, სიჭაბუკის შეგრჩეს სიმდიდრე,  
იქნებ იმ ბაღში შესვლის ფიქრიც არ გეკარება,  
რაც მომავლით მოგიმრავლებს საგანძურს, ვიდრე  
მოსპობს შენს კალმითნახატობას ცრუ ნეტარება.

ვიდრე დრო-ჟამით ნაქანდაკარ სიკვდილს ვენევიო,  
ვიდრემდე ებრძვის მის საჭრეთელს ჩემი კალამი,  
ადამის შეილთა მოდგმის წიაღ მადლის შენევნით  
გზა გაიკვალე სიცოცხლისკენ გასაკვალავი.

სხვას უწილადე, რაც გაქვს კარგი ამ გზა-სავალში  
და შენც იცოცხლებ შენს მშვენიერ შთამომავალში!

21

ვერ შევედრები გულუხვობით მე იმ პოეტებს,  
ვინც კალმით ნახატ წუთისოფელს რითმებში ხატავს  
და ცისქვეშეთში მიმოფანტულ მიეთ-მოეთებს  
თავს უყრის ლექსში და გულისსწორს საჩუქრად ატანს.

ვერ შევედრები იმ პოეტებს, რომელთ სწადიათ  
ლექსი მოკაზმონ მზის და მთვარის ნაზი სხივებით,  
რომელნიც სატრფოს გადაპენტილ აპრილს ადრიან  
და ტატნობს ფეხქვეშ რომ უგებენ დალივლივებით.

ვერ შევედრები, რადგან ლექსი მხოლოდ ლექსია,  
რადგან ჩემს ტრფობას ძალას მატებს მხოლოდ სიმართლე,  
რადგან ვერ შევძელ სანთლის შუქი მთვარედ მექცია,  
რადგან ჩემს სატრფოს მზეზე მეტი არ აქვს სინათლე.

სხვებმა გამართონ, დაე, სიტყვით ვაჭრობა დიდი,  
მე ჩემს სიყვარულს არც ვასხვისებ და არცა ვყიდი!

23

როგორც მსახიობს, მეტისმეტი თამაშით გართულს,  
სიტყვა და აზრი ავიწყდება ხშირად სცენაზე,  
ანდა ავყიას, ბილწსიტყვობის მორევეში ჩანთქმულს,  
ზედმეტი ლანძღვა შეაშრება ზოგჯერ ენაზე.

მეც ეს დამმართა მეტისმეტმა ვნებათა კრთომამ,  
მეც გამიმრუდდა სატრფიალო შნო და უნარი,  
და რად გიკვირს, რომ დავმუნჯდი და დავდუმდი, რომ ამ  
ზედმეტ სიყვარულს ზნე დააჩნდა დასაწუნარი.

მიტომაც ვსწავლობ გამოხედვით შენთან საუბარს,  
ამეტყველება ჩემმა მკერდმაც მიტომ ინება,  
როცა სიყვარულს კაეშანი ენას დაუბამს,  
სავედრებელი, ენის ნაცვლად, თვალს ეფინება.

მე მხოლოდ მზერით შემიძლია გრძნობის გამხელა,  
ესლა შემომრჩა სიყვარულის გამომსახველად.

25

დაე, ზოგისთვის ვარსკვლავეთი იყოს მოწყალე,  
ზოგის პატივით რეკდნენ, დაე, ქვეყნად ზარები!...  
მე ბედისწერას ღიმილიც კი ვერ გამოვძალე  
და სიყვარულის იმედადლა დავიარები.

ბედის ნებიერს ყველა უქებს ზნეს და თვისებას,  
მისთვის ნათდება მზისქვეშეთის თვალსაწიერი,  
მაგრამ განგება არ დაგიდევს არვის ღირსებას  
და ამაღლებულს დაბლა დასცემს... მიწვივ ცბიერი!

თუნდ ის სარდალი, ვაჟკაცობით ყველგან ქებული,  
ვისაც არვინ ჰყავს ქარცეცხლიან ომში ბადალი,  
განა სულ მალე არ იქნება დავიწყებული,  
ოდეს მის სახელს მოშორდება სიტყვა „სარდალი“?!

ჩემს ცხოვრებას კი ვერას ავნებს დროის ძვერება -  
მიყვარს!... ვუყვარვარ!... და ეს არის ბედნიერება!

30

მარტობისას როცა ვუხმობ იდუმალ ფიქრებს, რომ მახსენდება სატიკვიართა ზღვა და ხმელეთი, მოგონებათა ბნელ მორევში კვლავ ძალას იკრებს გარდასულ დღეთა სევდიანი ელეთ-მელეთი.

და კვლავ დავტირი უცრემლობას ჩვეული თვალით ერთგულ მეგობარს, ან ჩაკარგულს ბნელ სამარეში, კვლავ ვეძებ წარსულს სიყვარულის გზებით და ალით ხსოვნა-არხსოვნის სამყაროთა არემარეში.

და კვლავ ნელინელ მმატებს ცოდვას ნაცოდვილარი, კვლავ მეძალება ნაფიქრალის ფიქრად შექცევა, იმის გამგები ამქვეყნად კი არავინ არი, რომ გადახდილი გადასახდელ ვალად მექცევა.

მაგრამ როგორც კი, ჩემო კარგო, შენ მაგონდები, წარსულის ყველა მწუხარებას ერთად ვშორდები.

35

წურას ინაღვლებ, თუ შენს წარსულს აუგი გასდევს, მზის შემყურეს ხომ ზოგჯერ შავი ლაქაც დახვდება, ვარდიც ხომ ეკლებს ვერ იშორებს, ვერც წყარო - ხავსებს, კოკორს კი გულში ზოგჯერ მატლი ჩაუსახლდება.

ან ეგებ ვცდები და შემყრია მლიქვნელთა სენი, ეგებ შენს აუგს პატიება ფუჭად რგებია. ეგებ სხვებივით მეც მესობზე შევიქენ შენი და დიდი ცოდვა მცირე ნაკლად მომჩვენებია?!

შენს დასაცავად მე ვექილის ხელობას ვსწავლობ, მაგრამ გიყურებ ბრალმდებელის მდუმარე წყრომით და ჩემს ცხოვრებას ხან ვანამებ და ზოგჯერ ვწყალობ სიყვარულის და სიძულვილის სასტიკი ომით.

შენ ჩემი ძარცვით დაიმკვიდრე ქვეყნად სახელი და მეც გამხადე ჩემივე ძარცვის თანამზრახველი.

36

გამოგიტყდები — თუმცა გვეთქმის მე და შენ წყვილი, თუმცა ორივეს სიყვარული ერთად გვენვია, ჩვენს ტრფობას ჩემი საძრახისი დააჩნდა წვლილი, ჩემი აუგი მას უშენოდ შემოენია.

ჩვენს ორ გრძნობაში ერთი ტრფობის სხივი ციაგებს, თუმცა ცალ-ცალკე მრუმე ცოდვის გვინევს მხილება, რაც ჩვენს სიყვარულს საზიანოს ვერას მიაგებს, მაგრამ დროდადრო მისგან მაინც მზე ეჩრდილება.

მიტომაც არ მსურს, აგდევენოს სირცხვილი კვალში და ჩვენი ტრფობა გადშალოს ყველას მარაოდ, მიტომაც ვითხზავ შენს ნახვაზე სიძულვილს თვალში, შენ კი ღიმილსაც ვერ იმეტებ სააშკარაოდ.

დე, ასე იყოს! შენში მიყვარს მე ის არსება, ვისაც განგებამ განუნესა ჩემთან მსგავსება.

37

როგორც მოხუცი მამა უმზერს ძესა თუ ასულს, რომელთა გზნება სიყმანვილით ტკბობას ხმარდება, მეც, ბედისწერის სამსჯავროზე კოჭლობით გასულს, შენი სიკეთის დანახვაღა გამიხარდება.

მთელ შენს ღირსებას, მთელ სიტურფეს და სათნოებას, ან თუნდაც ნაწილს, თუნდ ცხადლივ და თუნდაც ფარულად, ასე მგონია, მიტომ სტაცებ ამაოებას, რომ გარდაიქმნას მაცობლებელ ჩემს სიყვარულად.

რომ შენი ჩრდილიც მანათებდეს ცისკრის მზესავით, რომ აღარ ვდევდე წუთისოფლის ბილიკს საპყარი, რომ შთაგონება მოვიძიო მაცდურ მზერაშიც, თუნდ სულ მცირედში, სამონყალოდ რაც მომაპყარი.

შენზე უკეთესს რადგან ქვეყნად ვერავის ვხედავ, ბედნიერების დაუფლებას ათმაგად ვხედავ.

38

მე სანამ შენში შთაგონების ძიებას ვხედავ, სანამ შენს სუნთქვას სიოდ ვაფენ ლექსის სტრიქონებს, უხემ ქალაღღზე საფერებელს ვერავის ვხედავ და ჩემი მუზაც სხვა სალოცავს ველარ იგონებს.

ჩემს ლექსს კი არა, საკუთარ თავს უთხარ მადლობა, შენს სილამაზეს, შენზე უკეთ, ვინ რას გაუგებს?! მუნჯიც რომ იყოს და ვერ შეძლოს გრძნობის განდობა, შენს სიტურფეზე მისი მზერა გაისაუბრებს.

შენ რომ მეთე მუზა იყო, თვით დრომ ინება, შენ ცხრა დანარჩენს ერთი ათად გასცდი პატივით... თუ წუთისოფელს განკითხვის დღე მოვევლინება, მარადისობას შენ შერჩები წმინდა ხატივით.

სიტყვებით თამაშს რომ შევწირე დრო და გონება, მე ცოდვად მექცეს, ოღონდ გერქვას შენ შთაგონება!

40

მთელ ჩემს სიყვარულს შენ გიბრუნებ, შენ დაგიბრუნებ ყველაფერს, რასაც თავად ფლობდი, როგორც მეუფე; ჩემში გრძნობათა ნაკვალევს თუ სადმე იგულებ, შენ დაგიბრუნებ!... მთელ შენს კუთვნილს შენ დაეუფლე!

თუ ჩემს სიყვარულს შეითვისებს შენი ბუნება, თუ ჩემს გაძარცვას ველარასგზით გვერდს ვერ აუვლი, ჩემგან განცდილით გამდიდრების თუ გაქვს ცდუნება, დაე, ეს იყოს მთელი შენი დანაშაული.

მიჯობს, მაცდური სათნოების მერქვას მონა და ჩემს უკაცრიელ გულში წყენა ვერვინ დატოს, დაე, სიყვარულს გადაბრალდეს ცოდვის ქონა და შენ გეპატიოს ყველაფერი, შენ გეპატიოს!

თუ კვლავ გწადია ჩემს ტკივილში ეძიო ტკბობა, ის მიჯობს მომკლა, ვიდრე ჩვენში მეფობდეს მტრობა!

43

თვალეებს დავხუჭავ, რადგან ვიცი, ფუჭად ვირჯები, შენს ძებნაში რომ ვეურჩები დროის დინებას, ჩემს წუთისოფელს სიზმარეთში გავემიჯნები და იქ ვიხილავ მაგ მშვენიერების ამობრწყინებას.

იქ შენი ჩრდილიც დამიჩრდილავს ღამეულ ხილვას, იქაც დამხვდება მე ეს ნატვრა სააქაოსი, რომ დაემგზავრო სიზმრებიდან მოვლენილ დილას და სამზეოშიც დამიაპო ვნების ქაოსი!

რომ ჩემთვის იყო მაცოცხლებელ სხივთა მხლებელი, რომ დღის სინათლეს დაემადლო დიდი პატივით, რომ მიცვალებულ ზმანებათა საბრძანებელი აღარ მიხმობდეს საპაემნოდ ანდამატივით.

ნეტავი ღამეს დილის ვალი აღარ ეხადოს და შენი სახე მზისქვეშეთშიც გამომეცხადოს.

47

ჩემს გულს და თვალეებს კავშირი აქვთ თურმე ფარული, მოყვარესავით სწყალობს ერთი თურმე მეორეს; როცა გულს ძლიერ შეაწუხებს ზღვა სიყვარული და როცა თვალი ამას მზერით გაიმეორებს,

მაშინ შენს ერთგულ მაყურებლად იქცევა თვალი და გულსაც უხმობს, ვით მსახიობს, დაგხვდეს სცენაზე, გულსაც სწადია დაუბრუნოს მოყვარეს ვალი და თვალს მასპინძლობს ოცნებების გამოფენაზე.

და რადგან ასე ყოველ დილით კვლავ მეორდება, თვალი იმ ტკივილს რომ ანელებს, გულს რომ ვნებია, მათი წყალობით შენზე ფიქრი მეც არ მშორდება და მივდევი იმ ფიქრს, შენ რომ კვალში აგდევნებია.

როცა თვალს სძინავს და გულსაც რომ ედება რული, მარტონი ვრჩებით მე და შენ და ზღვა სიყვარული.

48

ბევრს გადავყრივარ წუთისოფლად ბოროტის მზრახველს, ვიცნობ მათ მოდგმას და მტაცებლურ ზნეს და ხასიათს, მიტომაც გზაზე როცა გავალ, ვუმაღლავ მნახველს ჩემთვის საყვარელ ძვირფას ნივთს, თუ იაფფასიანს.

მაგრამ შენ საით გადაგმალე, ჩემო საუნჯე, არ ვიცი, როგორ გაგარიდო ქურდს და უკეთურს? ჩემო სიმდიდრე, ამ მტაცებლებს რომ გადაურჩე, რომელ სიფრთხილეს დავეძალო განსაკუთრებულს?

ჩემს ცარიელ გულს თავშესაფრად მიტომ გთავაზობ, სადაც ვერავის შეეძლება შენი მხილება, სადაც შენს ყოფნას თვით ინებებ, ჩემო ლამაზო, და არყოფნაშიც აღარავინ შეგეცილება.

მაგრამ, ვაითუ, გამოიგნონ ჩემს გულთან კვალი და მტაცებლებმა შენც და გულსაც დაადგან თვალი?!

49

ის დროც დადგება, — თუკი იმ დროს დადგომა ეთქმის, როცა ყოველი ჩემი ნაკლი თვალში გეცემა, როცა სიკეთეს მოიმრავლებ მარტოდენ შენთვის და სიყვარული მოგონებებს გადაეცემა.

ის დროც დადგება, როცა გზაზე ერთად ჩავივლით და შენს მზერაში მზის სხივები აღარ გაკრთება, როცა წამიერ შემომხედავ, ჩემზედ მწყრალივით, და მთელი სახე გულგრილობით დაგენაკვთება.

ის დროც დადგება, განვიკითხავ საკუთარ ცოდვებს, წარმავლობის სინანული გაათქვამებ და ჩვენს სიყვარულს საძრახისი თუკი რამ მოსდევს მე დამრჩება და შენს გაკიცხვას არვინ ეცდება.

...და თუ არჩიე ტრფობის უღელს თავისუფლება, კვლავ რომ მიყვარდე, არ მექნება ამის უფლება.

55

ჩემს ლექსებს მკვიდრი აგებით და ამოშენებით ვერ შეედრება ვერრა ძეგლი და მარმარილო, რადგან ეს ლექსი გავალაღე შენი მშვენიერებით, მარადისობის წარუშლელი ფერუმარილო.

სრაც და სასახლეც, გვერდიგვერდ რომ ამაყად დგანან, ხვალ დაიქცევა ჟამთასრბოლის შეხლა-შემოხლით, ჩვენს სიყვარულს კი აღსასრული არ ელის, რადგან ძეგლად კი არა, ჩვენ ერთმანეთს ლექსად შემოვხვდით.

შენ თვით სიკვდილსაც შეუღახავ აზრს და რაობას, ბოროტების გზას განირიდებს დროის დინება, ლექსით მოავლენ შენს სიკეთეს მრავალ თაობას, სანამ სანუთროს განკითხვის დღე მოველინება.

შენ რადგან ერთხელ შემოალე ლექსის კარები, სულ აქ დარჩები და მარადის აქ მეყვარები.

57

შენს მონობაში ისე გადის ჩემი ცხოვრება, ვერ გამიგია - წამია თუ წელიწადია; ჩემი სიცოცხლე შენს ერთ ღიმილს ემათხოვრება და სხვა სიკეთე მე ამქვეყნად აღარ მწადია.

შენს მოლოდინში არ შევეყურებ საათის ისრებს, არ ბობოქრობენ უსაშველოდ ჩემში გრძნობები; ჩემს ბაგეთაგან ჩვილსაც კი არავინ ისმენს, როცა შეხვედრის დაუთქმელად შემშვიდობები.

არ შემოგცქერი ეჭვის თვალით ლალსა და მღიმარს, არ გითვალთვალე - სად იყავ და ვისთან იარე - და, სანყალ მონას, ესლა მეთქმის - ნეტავი იმას, ვისთანაც ყოფნა შენს საამოდ გაიზიარე.

ჩემი სიცოცხლე ვნების ქსელში ისე გაება, ყველაფერს დავთმობ, თუ მიბრძანებს ჩემი ღვთაება.

60

დრო ჩვენს სიცოცხლეს ტალღასავით ნაპირთან განსჯის, ამოო ყოფნას დაასრულებს ნუთი ამოო, ერთის სიკვდილი სხვას ჩასახავს და მასაც დასჯის, თითქოს თავადვე არ შობა და ათამამაო.

თითქოს არყოფნას თავადვე არ გამოგვარიდა, თითქოს თავად არ განგვიწესა დროის შვილობა... მერე წარგვტაცა თავისივე ნაჩუქარი და მწარე ბაღლამად მოგვიტყვია სიამტკბილობა.

დრომ ეს სიცოცხლე ცოდვა-ბრალით თავად დადალა, მანვე ისურვა ცოდვილებზე ჯავრი ეყარა, სიკვდილის ცელით გაამგზავრა დროის გადაღმა, რაც კი რამ ქვეყნად მოსაცელი შემოეყარა.

მაგრამ ჩემს ლექსებს ნაადრევად დრო ვერ შელახავს, მარადისობის მცველად მათში რადგან შენ გნახავს.

64

როდესაც ვხედავ, ჟამთასროლა როგორი რისხვით ანგრევს ყველაფერს, რაც რამ მასში ნაშენებია, როგორ ანარცხებს განურჩევლად ძირს მისხის მისხით, რაც რამ მისსავე ჩაქროლებას დამშვენებია.

როდესაც ვხედავ ოკეანის მშიერ ტალღებში ხმელეთი როგორ ნება-ნება კარგავს ნაპირებს და შემდეგ მიწა, ღვარცოფების წყალზე დაგეშვით, სამფლობელოთა დაბრუნებას როგორ აპირებს...

როდესაც ვხედავ, რომ ქვეყნებსაც დრო იმორჩილებს, ერთს ააშენებს და მეორეს ფუძეს მოურღვევს, მე მაშინ ვფიქრობ - მეც დამადებს ნუთუ ბორკილებს, ჩემს სიყვარულსაც ნუთუ ეს დრო ბოლოს მოუღებს?!

ნუთუ ხორციელ სიკვდილამდე მომკლავს დროება და ჩემს ყოფაშიც გამეფდება ამაოება?!

65

დროებით შექმნილს დრო არაფერს დატოვებს არსად: რაგინდ ზღვასა და რაგინდ ხმელეთს, ქვებს და ლითონებს, თვით სიტურფესაც, უსასოო ყვავილთა მსგავსად, წარმავალობის სამსჯავროსთან დაითითოვებს.

დრო აპრილშიაც შემოდგომის აღსასრულს ხედავს, სიმწრის ალყაში ჩამოანგრევს ტკბობით ანაგებს, რაგინდ კლდე იყოს და ფოლადის კვარცხლბეკი ედგას, ძირს მოუთხრის და საარყოფნოდ გააჩანაგებს.

მიტომაც ფიქრით ვიხანგრძლივებ ყოფას ამაზრუნეს, დროის ზარდახშას მსურს მოგტაცო შენი მშვენიება! თუ შენი ყოფნით დრო საწუთროს გაილამაზებს, შენი არყოფნით მის სიხარბეს რა ეშველებს?

რადგან ამქვეყნად სხვა სასწაულს ვერაფერს ვბოვებ, შენს ნათელ სახეს შავი მელნით ნაწერში ვტოვებ.

66

ყველაფრით დაღლილს, მენატრება სიკვდილით შვება, რადგან შევეყურებ სამათხოვროდ შობილ თაობას, ჭეშმარიტ რწმენას რადგან არყვეს ცოდვილთა ნება და სრულქმნილება დარქმევია არარაობას.

და იყიდება ოქრო-ვერცხლზე კაცის ღირსება და მოიღერა ქალწულივით ყელი მეძაგმა და განდიდება მდაბიოთა გახდა თვისება და ყველა ლაჩარს რაინდობა შემოეძალა

და პირმოთენი დარბაისელ სიტყვებს ხლართავენ და ავი კეთილს დაატარებს თავის ნებაზე და უმეცრები განათლების საქმეს მართავენ და სულმდაბალნი ბატონობენ შთაგონებაზე...

ყველაფრით დაღლილს, სიკვდილია მიელავს თვალში, მაგრამ ჩემს სატრფოს ვერსად ვტოვებ ამ ცოდვა-ბრალში.

71

ორიოდ ცრემლი გადმოაგდე ლამაზ თვალთაგან, როცა ჩემს სიკვდილს გაუნყებენ გლოვის ზარები, როცა საწუთროს გაუმაძღარ ბინადართაგან მიწისქვეშეთის უძლებებთან გავემგზავრები.

როცა ჩემს ლექსებს გადაავლებ მზერას ნამიერ, როცა შენს სულში წამით სევდა ამეტყველდება, სჯობს, დამივიწყო! — რადგან შენი სული ამიერ მე წამიერი სევდისთვისაც არ მემეტება.

სჯობს აღარაფრით აიმღერო ტკბილი ფიქრები, აღარ მისდიო მოგონების გზას და ციცაბოს და შავ მიწაში მეც რომ მიწად გარდავიქმნები, სჯობს სიყვარულიც ჩემთან ერთად გარდაიცვალოს.

მე სამარეში თან ჩავიტან ჩვენს ლამაზ წარსულს და მითქმა-მოთქმას სამუდამოდ დაგუდებ სასრულს.

72

თუ გამოგკითხეს, ჩემში რა და რატომ გიყვარდა, თუ გამიხსენეს, ამქვეყნად რომ აღარ ვიქნები, გიჯობს, საფლავში მომადვენო ავი სიტყვა და სჯობს, თუ მოყვარე ჩემს მოძულედ გარდაიქმნები.

გიჯობს, სხივებით არ შეამკო მწირი სინათლე, საზრდო არ მისცე მითქმა-მოთქმის მსუნაგ მსახურებს, ჩვენი წარსულის დავინყებით თავი იმართლე, თუ ჩემი ხსოვნა ლამაზ ტყუილს დაიმსხურებს.

გიჯობს, სიტყვები არ შენიღბო ტრფობის გამხელით, არ დაეხარბო სიყვარულის მაცდურ არაკებს... სჯობს, გვამთან ერთად დაიმარხოს ჩემი სახელიც და ჩვენს აუგზე აღარავინ ილაპარაკებს.

თუკი ამქვეყნად შერცხვენილმა უნდა ვიარო, სჯობს, ჩემთან ყოფნა არასოდეს გაიზიარო.

73

დრომ გადათელა ჩემი სული მძიმე ფლოქვებით,  
დრომ ღამის მეკვლედ მომიქცია ცისკრის ტოროლა  
და შემოდგომას მოღწეული ხმელი ფოთლები  
საფარფატოდლა დამიტოვა თითო-ოროლა.

მიტომაც ხედავ ჩემს მზერაში სიცოცხლის დამლევს,  
ჩემს წუთისოფელს ჩამავალ მზეს მიტომ ადრიან,  
გარდაცვალების მოციქულად მოვლენილ ღამეს  
მიტომ ვუმზადებ საბრძანებელს დილაადრიან.

მიტომაც ვდგავარ დროის ფერფლით გარსმობხვეული,  
მიტომ მამსგავსებ სიყმანვილის მიმქრალ ორეულს,  
მშვიერი მინის საკვებადლა შემრჩა სხეული  
და მიტომ ვგავარ მე სიკვდილით ვნებამორეულს.

და რადგან ასე დავრდომილს და დღემოკლეს მხედავ,  
მე შენს სიყვარულს უფრო ძლიერ ამიტომ ვბედავ!

74

რადგან ჯერ ტყვე ვარ წუთისოფლის მუხთალი ჟამის,  
რადგან ჯერ გიძღვნი სიყვარულით საგსე სტრიქონებს,  
რადგან სულ მალე მეც მომიწის სიკვდილის წამი  
მოუსავლეთის საბატიმროს ქორონიკონებს,

რადგან ჯერ მწყალობ, მენდობი და მემამაგები,  
რადგან სიკეთის დასაბამი ჩემში გინახავს,  
მინამ წაილოს ჩემი ტანი, მინით ნაგები,  
სული კი ლექსში მხოლოდ შენთვის შემომინახავს.

მე უკვე ვხედავ ჟამთასროლის უძირო ფსკერზე,  
რომ ილექება ამღვრეული ჩემი ცხოვრება,  
რომ ლატაკივით გადმომდგარა სიკვდილი სერზე  
და ჩემს დარჩენილ ორ დღესაც კი მემათხოვრება.

მინამ თავისი მიიბაროს, დრომ კი - თავისი,  
ჩემი სული კი შენია და სხვა არავისი!

75

ჩემს ფიქრებს ისე ასაზრდოებ შენი თვალებით,  
თითქოს ცა მინას ეფრქვევაო წვიმის წვეთებად,  
თითქოსდა ვაჭარს ოქრო-ვერცხლის შემოძალებით  
ყოფნა ექცაო სარაინდო სულისკვეთებად.

და ასე - ვგავარ ხან ხელმწიფეს, უხვს და იღბლიანს,  
ხან სიხარბეში მეკარგება გზა და სავალი,  
ხან ყველგან მძარცველს და ავაზაკს ვლანდავ ნიღბიანს,  
ხან მინდა ყველას მივცე ჩემი შემოსავალი.

და ასე - ზოგჯერ სინყვდიადის ეშვება ფარდა.  
თვალსაწიერი მოჩანს ზოგჯერ ღამაზ ფერებად...  
და შენგან ჩუმად ნაჩუქარი ღიმილის გარდა,  
ალარაფერი მეჩვენება ბედნიერებად.

ასე დღიდიდღე იწურება წუთისოფელი:  
ხან ვფლობ ყველაფერს, ხან არაფრის არ ვარ მფლობელი.

76

დღეს ჩემი ლექსი რომ არ მართავს კეკლუც საუბარს  
რომ ვერვინ ხედავს მის წიაღში ჟამთა ცვლილებას,  
დროის ცდუნებას იერთაც მხარს რომ არ უბამს  
და ახალ-ახალს რომ არ იძენს გამოცდილებას.

რომ არ ყოყორობს ჩემი წიგნის არცერთი გვერდი  
ნაირნაირად მოკაზმული უცხო სახელით,  
რომ დღენიადაგ იგივეს ვწერ, სულ რასაც ვწერდი,  
რომ წუთისოფელს ვხედავ ძველი გადასახედით...

ეს იმიტომ, რომ შენ მიყვარხარ! რომ შენ ხარ მარად  
მუზა, რომელმაც ძველი გრძნობა ახალს არჩია,  
ვერ შევიყვარებ ვერასოდეს ვისაც სხვაგვარად,  
ვინც სტრიქონებით თვალთმაქცობას გადამაჩრვია.

და როგორც მზისთვის ახალი დროც ძველი ჟამია,  
მეც ვიმეორებ, ერთხელ გულით რაც ნათქვამია.

77

როდესაც სარკე დაგანახებს პირველ ჭაღარას,  
როდესაც საათს წუთისოფლის მძარცველს უწოდებ,  
როდესაც ქაღალდს უნუგეშო ლექსი დაღარავს  
და წარმავლობას სამონყალოდ ხელს გაუწოდებ.

მაშინ სიკეთე მოგაკლდება დღით და საათით,  
მაშინ ამოდ აღარ უნდა გდევნონ აზრებმა,  
უნდა გაიგო, რომ სიცოცხლე მდორე ტაატით  
მარადისობის მორევისკენ მიიზღაზნება.

მიტომაც უნდა მოუძებნო კენტ სტრიქონს წყვილი,  
გონება რასაც ვერ დაიტევს, დაწერო უნდა,  
გადაიკითხავ ამ ჩანაწერს და იტყვი - შვილი  
მოუსავლეთში წასულივით კვლავ დამიბრუნდა!

დროს არყოფნაში ჩაკლავს სენი განუკურნელი,  
მხოლოდ ხელნაწერს შემორჩება მისი სურნელი.

78

შენ, როგორც მუზამ, შთამაგონე იმდენი ლექსით,  
იმდენ ნაკადულს მიმადევენე, როგორც სათავემ,  
რომ პირმოთენიც, სახელად რომ პოეტი ეთქმით,  
ხოტბას გასხამენ და ჰგონიათ, ლექსებს ხლართავენ.

მუნჯსაც ჰგონია, შენს თვალებთან მართავს საუბარს,  
მავან ხეიბარს შენთან თავი გმირი ჰგონია...  
თითქოს განგებას ჯადოსნობის ქსელი გაუბამს  
და მთელი მისი ვერაგობა მონაგონია.

ნუ გჯერა, რომ ვინც გაგალმერთებს მხოლოდ მისი ხარ,  
მლიქვნელთა ბრბოებს შენსკენ სავალ გზას რა დაუღევს?!  
შენ სხვებისათვის მხოლოდ ლექსის სამშვენისი ხარ  
და გიმართავენ პირფერობის დღესასწაულებს.

შენს სიყვარულში საზრდოს პოეებს ჩემი გონება,  
რადგან ხარ ჩემი აღმაფრენა და შთაგონება.

79

შენ ერთადერთი იყავ ჩემი ლექსის იმედი, არ შევხაროდი მე შენსავით სხვას და გარეშეს, დღეს კი ჩამოსწყდა ჩემს სტრიქონებს ტრფობის სიმები და ჩემს მუზაში სხვა ფიქრებმა გაითარეშეს.

ვიცი, შენ უნდა ღირსეული გიმზერდეს თვალი, სხვას უნდა სთხოვდე ჩუქურთმოვან ლექსთა შენებას, შენს ძველ პოეტს კი აღარ შერჩა არცერთი ვალი, შთაგონებისთვის რაც მოსტაცა შენსავ მშვენებას.

რაც დაესესხა შენს ბაგეებს კეთილი სიტყვა, რა ნაქურდალის დამალვასაც ისევ უნდება, რა ნაჩუქარიც უკანასკნელ გრძნობამდე მიჰყვა, დღეს ყველაფერი სარგებელით შენ გიბრუნდება.

შენგან მადლობას მე არ ველი! შენი წვლილია, რა ვალიც მქონდა და რაც სრულად გადახდილია.

81

არ ვიცი, ვისთვის დაუგეშავს სიკვდილს მსტოვრები, შენს და ჩემს შორის განუზრახავს ვისი არჩევა; ის ვიცი მხოლოდ, რომ შენ ყველას ემახსოვრები, ჩემი ხსოვნის კი ნატამალიც არსად დარჩება.

შენი სახელი დროს სხივივით გადაეფრქვევა, მე კი ამქვეყნად, როგორც ქარი, გავქრები ველის, და თუ ჩემს საფლავს ერთი გოჯი მინა ერქმევა, შენ ხალხის თვალში საუკუნო სავანე გელის.

შენს ხსოვნას ჩემი ლექსი ძეგლად გამოადგება, რომ სააქაოს მრავლად ჰყავდეს მისი მნახველი და სიკვდილის დღე თუ ყველასთვის ერთად დადგება, მარადისობას დამლად აჩნდეს შენი სახელი.

ჩემმა კალამმა სასწაულის ქმნა თუ ინება, დროს შენი ხსოვნა სუნთქვასავით დაეფინება.

87

უნდა გამშორდე! აღარ შემრჩა ფიქრი საშენო, ამ თვალთმაქცობას ბორკილები უნდა ავყარო, ან სიყვარული შენს ბადალთან გიჯობს აშენო, რადგან ვერ იტევს შენს მშვენებას ჩემი სამყარო.

რადგან ბედისგან ნაბოძები არ ხარ ღვთაება, რადგან არ მინდა, სამონყალოდ ვფლობდე საუნჯეს, და რაც რამ ჩვენში სატრფიალო ქსელი გაება აღარ მსურს ხსოვნად შემორჩეს და დროს გადაურჩეს.

მიტომაც გიჯობს შენს ღირსებას თავად ხედავდე, არ მოველინო შეცოდებებს ჩემსას მკიცხავად და სანამ სათქმელს უკადრისად შემოგბედავდე, გიჯობს გამშორდე ცოდვა-ბრალის განუკითხავად.

მე მეფე მერქვა, შენ სიზმრების იყავ ფერია, გავიღვიძე და სანუგემო არაფერია.

88

ის დროც დადგება, ქედმაღალი მზერით დამხვდები, როდესაც გრძნობას დაერქმევა თავის შექცევა, ჩემს საზიანოდ როცა შენი მომხრე გავხდები, თუ სიყვარული განკითხვის დღედ გადამექცევა.

აღარ დავუნყებ უღირსობას ჩემსას ფერებას, შენს მამებელ აღსარებას ვეტყვი მსაჯულებს, რადგან უჩემოდ სჯობს ენით ბედნიერებას, მე კი ვერავინ გარდამქმნის და გადამარჯულებს.

უკეთურ წარსულს დავივინყებ, რადგან ნამიერ ვნებაც გაქრება, ცეცხლივით რომ შემომიკეთე და მთელ სიავეს განგაშორებ, რადგან ამიერ შენი სიკეთით მე ორმაგი მელის სიკეთე.

ჩემს სიყვარულში გაბატონდი, როგორც მეუფე, და, ცრუს თუ მართალს, სამუდამოდ შენ დამეუფლე.

89

მითხარ, რომ ჩვენი სიყვარული წარსულს ბარდება, რომ ჩემს სიმდაბლეს ვერ იფერებ შენი დარივით, კოჭლიც მიწოდე, თუ დაგჭირდა შენ ეს ბრალდება და გაგეცლები ფეხმოჭრილი ხეობარევით.

ჩემს მოძულებას ნუ ეცდები შერცხვენით, რადგან შენი ბადალი, თავად ვიცი, მე არ ვბრძანდები, ოღონდ მითხარ და შენს მახლობლად ფეხს აღარ დავდგამ და სიკვდილამდე აღარსაით მოგელანდები.

შენს სავალ გზაზე დავივანებს სრული მშვიდობა, ჩემს ბაგეს არსად წამოსცდება შენი სახელი, რადგან ის კაცი ღირსეულად დაგემშვიდობა, ვინც იყო შენთვის უღირსობის გამომსახველი.

ჩემი არსება მე საძულველ მტრად შემომყარე, ვინც შენ არ გიყვარს, აღარც ჩემთვის არის მოყვარე.

90

თუ მიმატოვებ, ახლა წადი... ახლა დამტოვე, როს ბედისწერის მრისხანება გასცდა ნაპირებს, შენც, ვით განგებამ, დავრდომილი დამიმარტოვე და ახლა წადი... წასვლას სულიც სანამ აპირებს.

სმენა მიაპყარ ჩემს გულისთქმას - რას გეუბნება, ჯერ მახვილს ზურგში ნუ ჩამასობ თავგამეტებით, ღამეულ ქარებს ნუ მომიქცევ ცისკრის ღრუბლებად... ჯერ მე და სევდა ქვეყნად ერთად დავეხეტებით.

და როცა ნახვალ, შეაყოვნე ნაბიჯი წამით, ვიდრე სანუთროს ჭირ-ვარამი მემათხოვრება, დე, შენმა მზერამ წამიერად შეიცნოს ამით, რა უსაშველო ტანჯვაშია ჩემი ცხოვრება.

სხვას არას ვჩივი, ესლა არის ჩემი ვედრება, რომ შენს დაკარგვას ვერაფერი ვერ შეედრება.

96

ზოგს თუ სიტურფემ ცოდვიანი ხელი დარია, ზოგი სიავეს ამ სიტურფის მადლით იცილებს, ცოდვა-მადლს შუა წუთისოფლად დიდი ზღვარია, შენ კი ორივე მორჩილებით შემოგციცინებს.

მეფის გვირგვინი რაგინდ ჟამმა გააიაფოს, მასში დიდება მაინც რჩება მიმქრალ ზმანებად, შენში კი ცოდვა მარგალიტის მსგავსად კიაფობს მშვენიერების სადაფებში საგოგმანებლად.

რადგან მტაცებელს არ სჩვევია ცხვრის ტყავი ეცვას, და მის საკბილოს უნდა ერქვას რადგან ბატკანი, შენც ნუ ისურვებ სხვის საამოდ ბუნების შეცვლას, შენს თვალთმაქცობას ვერ გაუძლებს სხვა კაცთაგანი.

დე, ასე იყოს! შენში მიყვარს მე ის არსება, ვისაც განგებამ განუნესა ჩემთან მსგავსება.

97

უშენოდ ყოფნა დამესგავსა სევდიან ზამთარს, მარტოობის გზას მივუყვები მწირი ბერივით, გაყინულ მზერას საიმდროო წყვდიადი ხლართავს, როცა სიცოცხლე დამემშვევა დეკემბერივით.

ზაფხულის მადლი შემოდგომას როცა აღავსებს, როცა სიუხვე დაგროვდება ყველგან სამყოფი, ჩემს ცხოვრებას კი დაქვრივებულ ქალს დაამსგავსებს, ვისაც საშოში ჩარჩენია ქმრისგან ნაყოფი.

დაობლებული შემოდგომის ყოველი წამი, ასე მგონია, ერთი სრული წელიწადია, სადაც უშენოდ საუკუნოდ გაჩერდა ჟამი, სადაც გალობა ბულბულსაც კი აღარ სწადია...

იმედი ხმელი ფოთლებივით ეცლება ლოდინს და შემზარავი მარტოობის ზამთარი მოდის.

98

შენ გაზაფხულზე მიმატოვე მშვიდი თვალეებით, როცა აპრილის ფერად კაბებს სიო არხევდა, როცა სიცოცხლის ყმანვილური შემოძალებით ზეცამ სატურნიც ეშმაკურად ჩამოახედა.

როცა ზაფხულის მობრძანების ხმებიც გაისმა, როცა ბულბულსაც მოენატრა ვარდთან გალობა, მე ზღაპარივით გაფრენილმა ტურფა მაისმა შენთან შეხვედრის ერთი წამიც არ მიწყალობა.

ახლა შევეყურებ შემოდგომის დღეთა თენებას, ყველა სიკეთემ ჩამიქროლა ახლა ქარივით და რომ ვიხსენებ შენს უსაზღვროდ მდიდრულ მშვენიებას წუთისოფელიც მეჩვენება მათხოვარივით.

ზამთარი მოდის უშენობის ბნელი ზმანებით... მე და ოცნება შენს აჩრდილსა ვეთაყვანებით.

102

რაც უფრო მეტად მეყვარები, გეტყვი მით ნაკლებს, მდიდარ სიყვარულს გადავმაღავ ღარიბ სიტყვაში; მე ვერ მივბაძავ ყველა ყბედს და ქალაქის ამკლებს გრძნობების ზღვიდან ცრუ სათქმელის გამორიყვაში.

ველარც გაზაფხულს შევადარებ სიყვარულს ჩვენსას, ის აღარც ვარდს ჰგავს, აღარც იხდენს იას ტოლივით, ველარ შევკადრებ შემოდგომას ყმანვილურ კენესას და დავდუმდები ვალმოხდილი იადონივით.

თუმცა ნაკლებად ღამის წყვდიადს არ ვეტრფი ახლა, თუმცა ბატონობს შმაგი ვნება კვლავაც ნებაზე, მაგრამ ვაი, რომ სიყვარულსაც დაეტყო დაღლა და გონზე ყოფნას ველარ გაეცვლი გაოგნებაზე.

ბულბულიც ზოგჯერ გალობისთვის ყელს კი იღერებს, მაგრამ თუ სატრფოს ველარ ხიბლავს, აღარ იმღერებს.

109

ო, გევედრები, არ მომაკლო სიტყვა კეთილი, არ დაიჯერო, რომ შემეძლო შენი ღალატი, ჩემი სული ხომ შენს მკერდშია გამოკეტილი და სხვა გულისკენ გზას როგორღა გავიკვალავდი?!

არ დაიჯერო, რომ აღარ ხარ ჩემი სავანე, რომ მენატრება სხვა მხარეთა ცა და ქვეყანა, რომ დავემგვანე გადამთიელ მავან-მავანებს და, ჩემს სანაცვლოდ, აჩრდილილა შემოგეყარა.

არ დაიჯერო, რომ ცოდვილი დაბლა დავეცი, რომ ჩემს გრძნობებში წარმავლობის ქსელი გაება და მთელი ჩემი საგანძური ისე გავეცი, არ შემრჩა შენთვის არაფერი, ჩემო ღვთაება!

მე აღარაფერს ვევედრები ამ დიდ სამყაროს - მამყოფოს შენთან და არასდროს აღარ გამყაროს!

110

ვაი, რომ მართლაც მთელ ქვეყანას მივედ-მოვედე, მართლაც რომ ხალხის დასაცინი გავხდი მასხარა, ახლანდელივით დაბრმავებას ისე მოვენდე, წარსულის განძი ჩალადაც კი არვინ მახმარა.

ვაი, რომ მართლაც ასე მოხდა!... მართლაც ასეა - ცდუნებას დავყვე რალაც ჟამით, რალაც დროებით... მაგრამ დღეს გული სიყვარულით კვლავაც სასვება და ძგერს იმედით, განა რალაც ამაოებით.

განა არ კმარა, რაც გადამხდა გადასახდენი, რაც რამ ქალაქად მომაჩვენა დაბად გებულმა? ან რალად უნდა ვადიადო ღმერთი ამდენი ერთი ღვთაების მონობისთვის დაბადებულმა?!

ან მაბატიე, ან გამწირე, დამდე ვალი ან... რა ვქნა?! - მიყვარხარ მართლაც ძლიერ, მართლაც ძალიან!

111

შეუბრალებელ უდროობად ქცევა დროისა ჩემს ბედს მოჰკითხე!... მე მის ცოდვას რას მემართლები?! მისგან დევნილმა მე შენდობა ვპოვე ბრბოისა და მოვიარე წუთისოფლის ბნელი ხლართები.

და რადგან ვითმენ ამდენ სირცხვილს, თავზედდატეხილს, რადგან, ვით მღებავს, მეც შემომრჩა ცოდვა ლაქებად... მიტომ გავედრებ ჩემს სიცოცხლეს სახელგატეხილს, რომ ბედისწერა მომიქციო ნანატრ განგებად!

რომ შემიბრალო! - თუნდ გესლიანს მალირსო წამალს, რომ განმიკურნო უიღბლობის სენი მზაკვარი, რომ ჩემთა ფიქრთა უნაპიროდ გადაშლილ ტრამალს კვლავაც დააჩნდეს ღვთაებრივი შენი გზა-კვალი!

გთხოვ, მაპატიო... განმამორო ძველი ცდუნება და ეს იქნება ჩემთვის შვება და განკურნება.

114

ნუთუ გონება გამეხლართა მზაკვარ გრძნობაში და, როგორც მეფეს, მლიქვნელობის სენი ერევა?! ან ეგებ თვალი გაინაფა ჯადოსნობაში და პირფერობა სიმართლეში აღარ მერევა.

ნუთუ ურჩხული გადაიქცა ზღაპრულ ფერიად, ნუთუ სიყვარულს გულწრფელობის მადლი სცხებია, ან ეგებ ქვეყნად საძრახისი არაფერია და რაც სიმდაბლე დამინახავს, მომჩვენებია.

ნუთუ ასეა?! - თვალი ხედავს მაცდურ სანახებს, მიტომაც თან მდევს თვალთმაქცობის სენი მეფეთა... თვალს რა მოვკითხო? - თავის ბატონს იმას ანახებს, თუ რამ გონების საამებლად შემოეფეთა.

თვალმა თუ ავი დაინახა, კარგიც მისია, თუ სილამაზეს არ შეხედა, რის მაქნისია?!

116

აუგს ვერ ვეტყვი, როცა ვინმეს უყვარს ნამდვილად, ნამდვილის გარდა, არ ვცნობ ტრფობას სხვას და გარეშეს, გრძნობა ის არის, რასაც ჟამი ვერ ცვლის ადვილად რაც მოძალადე ვნებასავით ვერ ითარეშებს.

მე სიყვარულში ქარიშხლიანს ვხედავ სამყაროს, სადაც სიკეთე გზას იკვლავს დროშის ფრიალით, სადაც მოყვარე მოყვრისაგან ვერვინ გაყაროს მაცდურობათა ოკეანის ორომტრიალით.

მე სიყვარულში არ ჩამიკლავს დროის დინება, არც ვარდებივით გამიფანტავს გზად და მარაოდ, თოჯინასავით არ მიცდია წარმოჩინება გალაღებულთა წუთისოფლის სამასხარაოდ...

მაგრამ თუ ვცდები, თუ ჩემს ლექსში აზრი არ არის, არ ჰყვარებია მაშინ ქვეყნად არვინ არავის.

119

რა შხამი მასვა სიყვარულმა?! ან რა სამსალა დამალევინა ჯოჯოხეთურ ცრემლთან ნაზავი?! შიში იმედზე და იმედი შიშზე გაცვალა, რომ გამარჯვებულს მარცხი მეგრძნო უზარმაზარი.

შენწყალების ნილ რას მთხოვდა და რას მავალებდა, რა ნეტარებას მიმზადებდა, ცოდვის მაგიერს? ჩემს თვალებს სატრფოს კვალდაკვალ რომ აწანწალებდა, მიტომაც თვისი საბუდრები გამოანგრეის.

მაგრამ სიავეს თურმე მადლიც უხვად ჰქონია, ბოროტებაში მე უკეთესს ჩავწვიდი სიმართლეს — სიყვარულის ხე როცა ყველას მკედარი ჰგონია, უცებ ცოცხლდება და მეტ ზაფხულს გადაიზამთრებს.

დღეს სიყვარული მიტევების ღიმილს მაგებებს და დანაკარგზე სამჯერ მეტად ვპოვებ სარგებელს.

120

შენს აუგ სიტყვებს მე მოყვარის გრძნობით განვიცდი და ამ გრძნობასთან ჩემი წყენა მონაგონია, ვით დამნაშავე, ქედს რომ გიხრი, ნუთუ არ იცი, შენ ჩემი გული ქვა და რკინა ხომ არ გგონია.

ნუთუ გნადია, მეც შენსავით გავყვე ცხოვრებას, მეც მოვიძიო მოყვასისკენ გზა უკეთური და ყველა წყენის საუკუნო დამახსოვრებას მეც მოვადევნო შურისგება ჯოჯოხეთური?!

ნუთუ არ გახსოვს შენ იმ ღამის გრძნეული სევდა, როცა ერთმანეთს შევალაიეთ სული ფერებით და დავიამეთ სატკივარი, რაც კი რამ გვდევდა, მაცოცხლებელი სიყვარულის მშვენიერებით.

მე პატივით განგაშორე ცოდვა ყოველი, ახლა სანაცვლო პატივებს შენგან მოველი.

130

მზის ბრწყინვალეობა ჩემი სატრფოს მზერას არ ახლავს, მენამულ მარჯანს სულაც არ ჰგავს მისი ბაგენი, თოვლის სითეთრეს მის გულმკერდზე ვერავინ ნახავს და აბრეშუმსაც მე მის თმებში ვერ მივაგენი.

დამასკის ვარდებს გადაყვრივარ ქვეყნად მრავალგვარს, მეც შემიგრძენია სურნელება მათი ნამდვილი, მიტომაც ვამბობ — ჩემი სატრფო ვარდს რომ არა ჰგავს, რომ სურნელითაც მდედრი გახლავთ პირნავარდნილი.

მის ხმას რომ ვისმენ, გრძნობის ზღვარიც გადამილახავს, მაგრამ მუსიკა მე სიამეს მეტად მანიჭებს; ქალღმერთის ქვეყნად სიარული მე არ მინახავს, ჩემი სატრფო კი ორივე ფეხს მიწას აბიჯებს.

მაგრამ, ღმერთმანი, მათზე ნაკლებ სიკეთეს არ ფლობს, ვისაც სიყალბე პირმოთნეთა ჭაობში აფლობს.



140

რა ვერაგიც ხარ, ისეთივე იყავ ჭკვიანი და ნუ გნადია, ჩემს სატიკივარს ახსნა აღვირი, ნუ მათქმევიწებ, რაგინდ იყოს ძალზედ გვიანი, თუ რა გვალვიან ტრფობაზე ვარ ცრემლად დაღვრილი.

ნუ დაივიწყებ, მოწყალეა თუ რამ გებადა, ნუ გეყვარები, მომეპყარი ოღონდ პატივით... მე სწულს ვგავარ, ვინც სიკვდილის გზას მიჰყვება და მკურნალის რჩევას მაინც ვერ თმობს ანდამატივით.

ნუ გამკიცხავ და სიძულვილს ნუ მისცემ სადავეს, მე ხომ სიგჟე შენი ტრფობით შემომეყარა, ბრბოს საამებლად ნუ დაუდებ იმ ჭორს სათავეს, რომ ჩემს სირცხვილზე ქირქილებდეს მთელი ქვეყანა.

გულს თუ არ მანდობ, თვალი მაინც გამოიმეტე და, ზოგჯერ მაინც, თვალთმაქცობით დამაიმდე.

142

მე თუ სიყვარულს ცოდვად მითვლი, შენც შეიქმ ცოდვას, რადგან სიძულვილს ანაცვალებ ყველა ღირსებას, არავინ იცის, საძრახისი ვის მეტი მოგვდგამს და ვისი გრძნობა იმსახურებს გასაძლისებას.

დღეს სიყვარულის ბორკილების აყრა გნადია და შენი ბაგე საყვედურსაც მიტომ მაგებებს, თურმე რამდენი შებლაღული წელიწადია სხვების სარეცელს მე ქურდულად ვტაცებ სარგებელს.

და თუ მე კვლავაც მიმზერ, როგორც არარაობას, და თუ გაგირბის მონატრებით სხვისკენ თვალები, ჯერ თავად ჩანვდი შებრალების არსს და რაობას და მერე სხვასაც დიდსულოვნად შეებრალები.

თუ ძველ მოყვარეს დაამადლე სიტყვა კეთილი, მომავლისაკენ თვით გექნება გზა მოკვეთილი.

144

ორ სიყვარულში დავატყვევე ჩემი არსება: გულზედ ბოროტი ძალა მეფობს, სულზედ - კეთილი; კეთილს მოკეთე კაცთანა აქვს სრული მსგავსება, ბოროტს კი ქალის ნაკვთები აქვს გამოკვეთილი.

მე ჯოჯოხეთში მიმაქანებს მდედრი სატანა და იმ ერთადერთ ანგელოზსაც მტაცებს სულიდან, რასაც განგებამ განუწესა თავის გატანა დასაბამამდე არსებული აღსასრულიდან...

და მე არ ვიცი ჩემს სიცოცხლეს რა ძალა მართავს, რას დამახვედრებს განკითხვის დღეს ვნება გრძნეული, ჩემს მეგობართან ჩემი მტერი სიტყვას რომ ხლართავს, მეც მეძალება მგზნებარება ეშმაკეული!...

ოჰ, თუ სატანამ ჩემს ანგელოზს ხელი დარია და ახლა ისიც ჯოჯოხეთის ბინადარია?!

147

მე უცნაური სიყვარულით შევიქენ ავად: ის მიყვარს, რასაც გავურბოდი ჟამით ჟამიერ, რასაც სახელად „დამლუპველი“ ვუწოდებ თავად და რაც სამსალას უმოწყალოდ მასმევს ამიერ.

ჩემს გონებასაც ღამედ ექცა მადლი დღისა და ვერ განმიკურნა მე ეს სნება, ნებით ნებული, და შემომწყრალმა ნუგეშიც კი არ მაღირსა და სიკვდილის კართან მიმატოვა გაოგნებული.

აქ დავასრულე სააქაო ფიქრთა გზა-შარა, აქ დაეჭედა ჩემს სიყვარულს ბნელი წერტილი და უგზურებამ სამომავლო სივრცე გაშალა სიცარიელის სიქათქათით გადაპენტილი.

ალარ მსურს შენში, სინათლის წილ, წყვიდადს ვხედავდე, შენ მიმიყვანე სამოთხიდან ჯოჯოხეთამდე.

148

შენ, თავო ჩემო, სიყვარულმა ეს რა დაგმართა?! — მრუდე ნიღბების სამზერადლა შემოგრჩა თვალი, ნუთუ გონება ერთმა გრძნობამ ისე წაგართვა, რომ განუსჯელად შემატოვე ცოდვა და ბრალი?!

და თუ ეს არის ჩემი ხვედრი, რაც ნახა თვალმა, მაშ, რაღად ვიგრძენ მთელი ქვეყნის ზურგის შექცევა?! და თუ არ არის, რატომ მამცნო კაცმა თუ ქალმა — რომ სიყვარული ბედისწერად გადამექცევა?!

ვის დაფუჯერო? ხალხს თუ ამ ჩემს დაბინდულ თვალებს, რომლებსაც ცრემლი აბრმავებს და სიცხადეს ჰპარავს? ის ვიცი მხოლოდ, მზერა დიდხანს ვერ გამანვალებს — მზეც ხომ არსად ჩანს, სანამ ზეცას ღრუბელი ფარავს.

მზაკვარი ტრფობა თვალში ცრემლთა საგუბარს მართავს, რომ ჩემი მზერა ვერ არჩევდეს ცრუსა და მართალს.

149


არ გიყვარვარო! - ველარ მეტყვი ცილისწამებით, თავადაც ხედავ, საკუთარ თავს მტრად რომ ვექეცი, რომ შენზე ფიქრში თენებით და შემოლამებით ჩემსავე სხეულს სუნთქვასავით გამოვექეცი.

ვერ მეტყვი, რომ შენს მოძულესთან დავალ მოყვრებით, რომ შენს მოშურნეს თვალთმაქცურთა ჟინით ვხლებივარ, რომ მორჩილების კენესითა და ამოხრებით შენს სისასტიკეს ერთხელ მაინც შევბრძოლებივარ.

ვერ მეტყვი — თითქოს საკუთარ თავს ვუმზერ პატივით, რომ შენს სამსახურს არ მივიჩნევ მე ჩემს ღირსებად, რომ შენი მზერა არ მიზიდავს ანდამატივით და სიყვარული გადამექცა გასაძლისებად.

მაგრამ შენ გიყვარს ის, ვინც ცხადად ხედავს შენს ცოდვებს, მე კი სიბრმავე ბედისწერის სასჯელად მომდევს.

ინგლისური ენის შემსწავლელთათვის



William Shakespeare (1564-1616) Sonnets

უილიამ შექსპირი სონეტები

No, Time, thou shalt not boast that I do change: Thy pyramids built up with newer might To me are nothing novel, nothing strange; They are but dressings of a former sight.

Our dates are brief, and therefore we admire What thou dost foist upon us that is old, And rather make them born to our desire Than think that we before have heard them told.

Thy registers and thee I both defy, Not wondering at the present nor the past, For thy records and what we see doth lie, Made more or less by thy continual haste.

This I do vow and this shall ever be; I will be true, despite thy scythe and thee.

\* \* \*

(Маршак)

Не хвастай, время, властью надо мной. Те пирамиды, что возведены Тобою вновь, не блещут новизной. Они - перелицовка старины.

Наш век недолог. Нас немудрено Прельстить перелицованным старьем. Мы верим, будто нами рождено Все то, что мы от предков узнаем.

Цена тебе с твоим архивом грош. Во мне и тени удивленья нет Пред тем, что есть и было. Эту ложь Шлетешь ты в спешке суетливых лет.

И если был я верен до сих пор, Не изменюсь тебе наперекор!

\* \* \*

დრო, უდროოდ ნუ იქაინი შენ ჩემს ცვლილებას, არც ახალია ეგ ქაღილი და არც ძველია... თვით პირამიდაც, რაგინდ სდევდეს კამთა დინებას, მაინც წარსულის მშანებათა სამოსელია.

დღემოკლენი ვართ და მიგომაც ასე გვეგონია, მხოლოდ ჩვენ გვესმის საოცარი შენი ზღაპარი, რომ წუთისოფლად დაბადებას აძრი პქონია და ჩვენ გვეკუთვნის ეს სიცრუის თავშესაფარი.

მაგრამ მე ვხედავ, რა მუხთაღიცი ვიპყრობს შრახვები, სხვების ღათესილს როცა იმკი სხვაგან მოსავალს, რა შემზარავი მაცდურობით დაგვენახვები, სიკვდილის გარდა, რომ ვერ ვპოვებთ სხვა გამოსავალს.

მიგომაც ვფიცავ, სიცოცხლე რომ ჩაივლის მთელი, ვერ შემცვლი ვერც შენ და ვერც შენი სიკვდილის ცელი.

თარგმნა ალექსანდრე ელერდაშვილმა, აპრილი, 2004 წ.

ჩანართის ბოლო გვერდზე მოთავსებული სონეტის თარგმანი რიგით 61-ეა და ის შესრულდა ხსენებული ჩანართის მომზადების შემდეგ, ამიტომ ვერ შევიტანეთ მასალის იმ ნაწილში, რომელიც უკვე წიგნის სახითაა გამოცემული და შეგვიძლია ნებისმიერ მსურველს მივანოდოთ, თუ მათ ამ კრებულის შექმნის სურვილი გაუჩნდებათ.

წიგნის შექმნის მსურველები დაგვიკავშირდნენ - 79-53-70.

ხსენებული წიგნი არის რიგით პირველი „მთარგმნელის ბიბლიოთეკის“ სერიისა და დასაწყისი იმ სასურველი საქმისა, რაც მიზნად ისახავს, პირველ რიგში, ახალი თარგმანების წარმოჩენას, თუმცა ჩვენს „ბიბლიოთეკაში“ აუცილებლად იქნება წარმოდგენილი ყველა ის საუკეთესო პოეტური თარგმანი, რომლებმაც განსაკუთრებული ადგილი დაიმკვიდრეს ქართული მთარგმნელობითი ხელოვნების, და ზოგადად ქართული ლიტერატურის, განვითარების გზაზე.

უახლოეს მომავალში ზემოთხსენებული „ბიბლიოთეკის“ ეგიდით გამოიცემა ომარ ხაიამის რობაიების თარგმანების განვრცობილი და შევსებული ვერსია, რომელიც ასევე „ფანტაზიის“ რედაქტორმა თარგმნა (ამ თარგმანების პირველი გამოცემა 1997 წელს გამოვიდა).

სურვილი გვაქვს, წელს ამ სერიის კიდევ ერთი წიგნის გამოცემისა, თუმცა მის შესახებ საუბარი ნაადრევია, ზოგადად კი იმი თქმა შეგვიძლია, რომ მესამე წიგნი ფრანგულ პოეზიას მიეძღვნება.

ვითვალისწინებთ რა იმას, რომ დღეს თარგმანი, როგორც ლიტერატურის დამოუკიდებელი ჟანრი პრაქტიკულად არსად იბეჭდება და ყველასაგან მივიწყებულია, ჩვენ ყველანაირად შევეუწყობთ ხელს ამ საქმით დაინტერესებულ და დაკავებულ ადამიანებს საკუთარი შემოქმედების წარმოჩენის საქმეში; ამაში იგულისხმება მთელი ის კომპლექსი პოლიგრაფიული საქმიანობისა, რაც ხელნაწერსა და წიგნს შორისაა ჩასატარებელი. დაგვიკავშირდით და ვითანამშრომლოთ.

აქვე გვსურს პასუხი გაცევით ჩვენი ზოგიერთი მკითხველის კითხვასა თუ შენიშვნას და ორიოდ სიტყვა მოგახსენოთ იმ პრინციპებისა და მეთოდების შესახებ, რითაც ჩვენ ვხელმძღვანელობთ თარგმანზე მუშაობისას ზოგადად.

1) თარგმანი თავის ეპოქის შვილია და ლექსიკური თუ მსოფლმხედველობრივი საფუძვლებით მიმდინარე დროის სულისკვეთებას უნდა შეესაბამებოდეს. ანუ, ვთქვათ, შექსპირი უნდა თარგმნო იმ პრინციპების დაცვით, რაც XXI საუკუნის დასაწყისის ქართულ ლიტერატურულ სინამდვილეშია დამკვიდრებული (აბა, წარმოიდგინეთ, სონეტები XVI საუკუნის, „გარდებულბულიანის“ და „შამიფარვანიანის“ ენით რომ გვეთარგმნა... მიიღებდით ასეთ თარგმანს?)






2) როგორც ჩანართის პირველ გვერდზე მოგახსენეთ, მთარგმნელობით ხელოვნებას აქვს დაუწერელი კანონი, რაც ორიგინალთან მიმართებაში დასაშვებ თავისუფლებაში გამოიხატება. მთარგმნელი (...რაც არ უნდა მკრეხელობად ჩანდეს ეს) პოეტურ ოსტატობაში უნდა გაეჯიბროს ავტორს და შექმნას თავისი ენისათვის სასურველი და მისაღები, ფრაზეოლოგიურიდიდიმატურად თუ აკუსტიკურად გამართული ლექსი. თუ მთარგმნელს მიზნად აქვს ავტორის ზუსტი ციტირება და მისი ლექსიკური თავისებურების დაცვა, ამ შემთხვევაში მთარგმნელი ავტორის მონახდება... შესაძლოა, შექსპირის მონობა არცაა უკადრისი საქციელი, მაგრამ ამ შემთხვევაში თავად „მონათმლობელი“ ზარალდება და მთელ თავის მშვენიერებას კარგავს გასაგები მიზეზების გამო...



ერთი სიტყვით, თავად განსაჯეთ....





	ქვაბით ბანყო- ბილი გზა	სამეფო ღინას- თია სპარ- სეთში	ქოსმრ- სური ცენებრი	ჩვევა- თა ერთობ- ლიობა	ბელა- ვიზო- რების ფირმა	სანიმ- ღარო ხვა	ჯონ (...) ინგლი- სელი ფიზი- კოსი	სოფალი თიანე- თის რ-ნეი	სინათ- ლის სიკავ- სიკავის ერთეუ- ლი	„კლინ- თიკა- რი“ ფოსფი- ვილი	აფრი- კის ქვეყა- ნა	ქვემ. ქვეყა- ნა ვესტ- ინდოე- თში	სპარ- სეთი	(.....) მოსი- რიქა	გეოლო- გიური პარიო- ლი
	9	4	4	8	4	4	7	10	4	4	6	7	5	5	9
ქალაქი ესპანეთში	10														
პაპის გალაღვილება	4														
პროლოგი	8														
ქაშაში მოღის	4	ჩვენი გზა	4												
(.....) ფოსფივილი	5														
ქალაქი საფრან- გეთში	4	(.....) აგაღო- ბელი	4												
ინილეთ ზედა ფოტო	4	ნაბიჯი													
როგაქლთა არგებოდა	5	გამქლ ანუ?	6							<input type="checkbox"/>					
„გაზაფ- ხული შა- მოხული“ (.....)“	3	სასიმიღა	5							<input type="checkbox"/>					
მუქი შრიფტი	5									<input type="checkbox"/>					
პარსკა- ლავს აქვს	4	ეთიოპიის ქველი სახელი	8							<input type="checkbox"/>					
ღელი ფრანა	4	მდინარე ფლორან- სიაში	4							<input type="checkbox"/>					
ყაზახი მწერალი	4	უკრაინის პარლამენ- ტი	4							<input type="checkbox"/>					
შრი- ლანკის ღვთაქა- ლაქი	7	მოუსვა- ნარი	4							<input type="checkbox"/>					
ვულკანი იტალიაში	4														
ქარბი სამშლის მშობდა	7														
სერილის ზანგი ქალი	6														
ქალის ქართული სახელი	4	ხვეისკა- რის ვაქი	5												
იტალიის გზა	4														
პორტოში, რომელიმე თიკქლის ზედა ჯირ- ქვალში გამოი- ყოფა	10														
შობის წინა ღამის მღერინა	5														
სერილის ღვთაქალაქი	10														





გასული ნომრის პასუხები

9. Crossword grid with numbers 9, 10, 11, 12.

10. Crossword grid with numbers 10, 11, 12.

11. Crossword grid with numbers 11, 12.

12. Crossword grid with numbers 12.

13. Crossword grid with numbers 13.

14. Crossword grid with numbers 14.

20. Crossword grid with number 20.

20. Crossword grid with number 20.

პირველი გვირგვინი. თარაზულადა... 1. ველასკესი. 6. ვიკინგები. 11. სამხარი. 12. დრამატურგია. 13. ცარცი. 14. ალადინი. 15. არამია. 16. იტიკაგა. 17. ალანია. 19. დიდი. 21. ჩხორი. 23. ატომური. 25. გრეტა. 27. პერესტროიკა. 30. ოპერეტა. 32. ეივარუსი. 33. იგავი. 34. სხერი. 35. ილიჩი. 36. იდილია. 37. ნინიძე.

შვეულადა... 1. ვისოცკი. 2. ლამარტინი. 3. სტატიბა. 4. ეპითალამა. 5. ინდიანა-პოლისი. 6. ვიალი. 7. კრამიტა. 8. ნოუპუ. 9. ერგემლიძე. 10. ირაგადი. 18. აბუშაჰარი. 20. აგრესორი. 21. ჩაბლა. 22. ისაულე. 24. ირონი. 26. აბაშიძე. 28. რვალი. 29. რუსი. 31. ეგერი.

მე-2 გვირგვინი თარაზულადა... 1. მარიამობისთვე. 8. ალაშუი. 9. მონში. 11. შვიციბარია. 14. დექტექტორი. 15. რუო. 17. დანაო. 18. სტილეთი. 19. ზოლო.

შვეულადა... 1. ტაბლა. 2. სიაშოგენა. 3. ამფითისტო. 4. ხბო. 5. ისტორია. 6. სეგმა. 10. ბაგრატი. 12. ჯემა. 13. მურტალი. 16. პლაჟი.

მე-3 გვირგვინი თარაზულადა... 1. გენია. 4. აგიტატორი. 8. მუდრეგი. 14. ნარკომანია. 15. ფლაკონი. 16. კლერკი. 19. კომპარაჩიკოსი. 20. ეთიოპია. 21. შუფი. 24. ატენი. 25. ენრა. 26. დიპლომატი. 31. გირი. 32. ალალი. 33. შტამი. 34. ოტერი. 39. ამატი. 40. ბაშუტი. 41. ფლორინი. 42. სავა. 47. შალაშინი. 48. სპილბერგი. 49. მრგვლი. 52. ოყნა. 53. კუსტარული. 54. არდაზანი. 58. ყუსტინა. 59. დიუმა. 60. პერნი. 65. ლუანდა. 66. სცენა. 67. პუსენი. 68. მეფე. 72. გობრონი. 73. რობინსონი. 74. ბოლიდი. 78. დიდი. 79. რეპუტაცია. 80. გიტარისტი. 84. ლემური. 85. ძმარი. 86. მავგალა. 87. ორფი. 91. ინფერნი. 92. ვალუა. 93. მდარე. 98. ძარა. 99. ქენქებური. 100. ზუდრითისი. 103. საირუსი. 104. მურმანსკი. 105. ალტაი. 110. ანდრია. 111. ბონდი. 112. პლატეპო. 113. მექა. 117. მეგლუდი. 118. ლარგა. 119. კინეტიკა. 123. კოფი. 124. ბანგალორი. 125. ფარადეი. 129. ლიტაგრა. 130. სტატიბა. 131. ნირვანა. 136. სტეფენსონი. 137. გონზალო. 138. ოცეული. 139. იდილია. 140. ვალერია. 141. კარამაზოვი.

შვეულადა... 1. გინეკოლოგი. 2. ფერეში. 3. ისოკრატე. 5. გაისკა. 6. ტულა. 7. რიკო. 9. რულო. 10. გურჩენკო. 11. მარჩენალი. 12. ანტონიო. 13. სირია. 17. ოსანა. 18. ბიულეტენი. 22. კრეტა. 23. ოდერი. 27. ტრამპლინი. 28. ალაპო. 29. ამალთა. 30. პორაგო. 35. ატაშე. 36. სტაპერი. 37. გრეგერი. 38. მალვინა. 43. უმფოთველი. 44. ინსულტი. 45. ალილოვა. 46. ბრაიანი. 50. სტანიცა. 51. ტაგერნი. 55. მუნდირი. 56. იმპულსი. 57. იჩქორი. 61. მაჟორდომი. 62. ინფოზაგრი. 63. ლეონტევი. 64. რეზისტორი. 69. ანჯეი. 70. დიდი. 71. სოფია. 75. ოდილაჟაძე. 76. სურმანიძე. 77. პავლოდარი. 81. არენა. 82. პაჭუა. 83. შიპალია. 88. თეხესი. 89. მაკრამე. 90. არმიული. 94. ორლანდო. 95. აბსურდი. 96. შუაკაცი. 97. ფილატელია. 101. ორქიდა. 102. ანშლაგი. 106. პარსკი. 107. მონდევო. 108. აბიკაცია. 109. საფანტი. 114. ალბატროსი. 115. ბაგრატიონი. 116. რეზერვუარი. 120. მფაიფერი. 121. ალოტი. 122. ტაუ. 126. ლაფეტი. 127. აბაზი. 128. ანგული. 132. ოსტი. 133. ინგა. 134. ელბა. 135. ტირი.

მე-6 გვირგვინი „მალუსა“ თარაზულადა... 1. კაპოშვარი. 5. ფანჯარა. 9. აზნაფერი. 10. ბურატინი. 12. დრიუსი. 13. დეზდემონა. 14. ახვლედიანი. 16. კარიბუ. 19. კონვეი. 21. ავტონი. 23. რეაქტორი. 24. მონტიკა. 27. ილტი. 29. სიტყვა. 31. შივა. 34. ასასანი. 35. ნალივაიკო. 37. ელისო. 38. ულენ-შპიგელი. 40. ტროპარი. 41. იაბლონიცი. 42. პლისეცკია. 43. კეთილი.

მე-5 გვირგვინი

5x5 crossword grid for 5-letter words.

მე-5 გვირგვინი


5x5 crossword grid for 5-letter words.

შვეულადა... 1. კლაუდია კარდინალე. 2. პენსილვანია. 3. შავლო. 4. აორტიტი. 5. ფრუნე. 6. ნურე. 7. აზიოვი. 8. ამორპული. 11. ადენტი. 15. ევერტი. 17. აუგეტი. 18. პანი. 20. ევროპეიდული. 22. ორანი. 25. იმაგო. 26. სტანკევიჩი. 28. ტრაპიზონი. 30. კალოშები. 32. ნიკოლაძე. 33. ვერინომე. 36. იმერელი. 39. ალანი. მე-6 გვირგვინი 1. ჰოფმანი. 2. ამიფესტაცია. 3. კოტენოჩკინი. 4. სიეტლი. 5. ფემინიზმი. 6. მიქსერი. 7. ცენტრალური. 8. ნიანგი. 9. კომაროვი. 10. ემიდემია. 11. ამფითეატრი. 12. სატანა. 13. ანგელოზი. 14. ორდანი. 15. სტოკპოლმი. 16. ორიოლი. 17. შურუა. 18. ულტიმატუმი. 19. ფრიაშული. 20. კანდიდატი. 21. პროცენტი. 22. ვარიეტე. 23. ბოლივი. 24. დავაო. 25. ალლი. 26. დანამა. 27. ნიკიტა. 28. ფლორა. 29. მურტალი. 30. ტაბუ. 31. სინდიაკატი. 32. გეი. 33. ჩიზბურგერი. 34. ტატამი. მე-7 გვირგვინი თარაზულადა... 1. შამილტონი. 9. ივანოვი. 11. პაუსი. 12. კარპენტი. 13. ნიველერება. 14. ოსმანი. 15. პეტეპა. 17. ნეონი. 18. უნი. 19. ფანტეცი. 22. პომპიერი. 23. პროშკა. 24. ბანი. 25. ანოდი. 26. ჩილე. 28. აზერბაიჯანი.

შვეულადა... 1. ლაღანიძე. 2. მიოდდერი. 3. სტრიპი. 4. ანაკრონოტი. 5. ევდემონიზმი. 6. ანატომიური. 7. სვირინგი. 10. ორგანო. 16. აქცია. 20. ვერონეზე. 21. ნიშაფერი. 22. პანთეონი. 24. პრინცი. 27. ხან.

მე-8 გვირგვინი თარაზულადა... 1. ფეხშიშველი. 5. გლაშა. 10. ტორიჩელი. 11. პამპერსი. 13. ნაბობი. 14. მორუა. 15. უზმო. 18. უძინარი. 19. ნიყვი. 23. ლარიოდენდრონი. 26. დემოგრაფია. 28. უძლები. 30. მხარი. 31. უბანი. 32. ლუნი. 33. მიხა. 34. იდილია. 35. გარე.

შვეულადა... 1. ფოტონი. 2. ხარაბაძე. 3. ინიბინი. 4. ველა. 6. ლუმა. 7. შირაზი. 8. ჭაბუკიანი. 9. ვიკონტი. 12. შოუ. 16. ორბიტალური. 17. კვირპატი. 20. ტანდემი. 21. ადმირალი. 22. ანგელინი. 24. ამაგი. 25. სირაძე. 27. გრიშა. 29. ჭიბი.





# თარგმნილი ჟურნალი

მზადდება გამოსაცემად

## აფორიზმების ანთოლოგია

\*\*\*

ქალი, რომელიც ყველაზე მეტად გვიყვარს, არასოდეს არის ის ქალი, რომელიც გვსურს, რომ ყველაზე მეტად გვიყვარდეს.

ანრი რენი

\*\*\*

საკმარისი აღმოჩნდა ერთ მამაკაცს შეპყვარებოდა ერთი ქალი და... ეს ქვეყანა გახდა ისეთი, როგორიც არის.

ვოლტერი



			ა								ა									
ა	ა	ა	ა	ა	ა	ა	ა	ა	ა	ა	ა	ა	ა	ა	ა	ა	ა	ა	ა	ა
ა	ა	ა	ა	ა	ა	ა	ა	ა	ა	ა	ა	ა	ა	ა	ა	ა	ა	ა	ა	ა
ა	ა	ა	ა	ა	ა	ა	ა	ა	ა	ა	ა	ა	ა	ა	ა	ა	ა	ა	ა	ა
ა	ა	ა	ა	ა	ა	ა	ა	ა	ა	ა	ა	ა	ა	ა	ა	ა	ა	ა	ა	ა
ა	ა	ა	ა	ა	ა	ა	ა	ა	ა	ა	ა	ა	ა	ა	ა	ა	ა	ა	ა	ა
ა	ა	ა	ა	ა	ა	ა	ა	ა	ა	ა	ა	ა	ა	ა	ა	ა	ა	ა	ა	ა
ა	ა	ა	ა	ა	ა	ა	ა	ა	ა	ა	ა	ა	ა	ა	ა	ა	ა	ა	ა	ა
ა	ა	ა	ა	ა	ა	ა	ა	ა	ა	ა	ა	ა	ა	ა	ა	ა	ა	ა	ა	ა
ა	ა	ა	ა	ა	ა	ა	ა	ა	ა	ა	ა	ა	ა	ა	ა	ა	ა	ა	ა	ა

<b>შედეგები</b>				კ	ე	ო	ვ	ჰ	ჟ			
ა	ა	ა	ბ	ვ	ი	ი	ნ	ო	ს	ტ	ყ	ნ
<b>აღიქმნა</b>				ლ	ნ	ნ	რ	ქ	ჯ			
ა	ა	ბ	ე	ნ	ო	ო	ვ	რ	ს	ტ	ტ	ტ
<b>აღიქმნა</b>				ა	ე	ო	რ	ტ	ფ			
ა	ა	ვ	ი	ი	ლ	რ	უ	რ	ს	ს	ტ	
ა	ე	ი	ი	ი	ლ	ნ	რ	ს	ტ			
ა	ი	ი	ი	ი	მ	რ	ტ	ნ	ს			
ა	ა	ვ	ი	ე	ლ	ო	ო	ვ	რ			
ა	ე	ვ	ი	მ	ნ	ნ	რ	ს	ქ			
ა	ე	ი	ი	ი	ლ	ო	რ					
ა	ა	ა	თ	ი	ნ	ო	რ					

თუ შენსება არ  
ისივე ლაპიკა-  
პირადით - 79-53-70

## შეგიქლიათ შეიქინოთ წიგნის გადაზიდვები



- კრებული
- ეძვნება
- შექსიარის
- დაბადების
- 440-ე
- წლისთავს

ახალი თარგმანები მთარგმნელის ზიგლიოთაქა

მე უკვე ვხედავ, წარმავლობის  
უძირსო ფსკერზე,  
რომ იტყუება ამღვრეული  
ჩემი ცხოვრება.  
რომ ლატაკივით  
გაღმომდგარა სიკვდილი სურზე  
და ჩემს დარჩენულ  
ორიოდ დღეს შემათხოვრება

ვანცაჭია

### უილიამ შექსპირი

### რჩეული სონეტები



**მომავალ შეხვედრებში მორი კვირის შემდეგ**